# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 197 შაბათი, 5 სექტემბერი 1909 წ. № 197

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.—ბის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირსის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქცია იტოვებს უფლებას შეამოკლოს და შეასწოროს მცირე წერილები და კორესპონდენციები. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.



## ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 6 ენკენისთვეს, 1909 წ., № 1.

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ, ბ-ნ პ. ა. იმედაშვილისა და ი. ივანიძის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება:

## „ყაჩაღები"

ტრაგედია 5 მოქმედებად, თარგმანი ნ. ავალიშვილისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი ა. ქიქოძე; ბ-ნნი: ინაშვილი, ბადრიძე, ბაქრაძე, **იმედაშვილი**, **ივანიძე**, ზურაბიშვილი, ნარი, რომანიშვილი, რევაზოვი, შათირიშვილი, მეტრეველი და ჯაბაური.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი ერთი შაურიდან ათ შაურამდე.**

ანონსი: შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ხუთშაბათს საღამოს, 17 ენკენისთვეს. მზადდება წარმოსადგენად; «ჭირვეული ცოლის მორჯულება», კომ. 4 მოქ. შექსპირისა; «შემოსავლიანი ადგილი», ოსტროვსკისა და სხვ.

დაჟინებითა ვთხოვთ საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნურავინ დაჯდება. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში იმედია თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **სვირელი.**



## ქ. ოზურგეთში

(ზემო ბაღში) კვირას, 6 ენკენისთვეს

**ოზურგეთის რეალურ სასწავლებლის სასარგებლოდ**

გაიმართება დიდი

## სახალხო სეირნობა

**შემდეგი პროგრამით:** დაუკრავს სამხედრო მუსიკა, ზურნა, გრამოფონი, მანდოლინისტთა ორკესტრი, იმღერებენ ქართულად და რუსულად, ითამაშებენ ლეკურს, წაიკითხავენ ლექსებს, ჰაერში გაუშვებენ **მაშხალებს**, ბურთებს (შარებს). სროლა ნიშანში, **ჭიდაობა**, რგოლების ჩამოცმევა, ლატარეია-ალეგრი, ბაზარი, ბოქკა-იღბალი, „პტი-შვო", ცხენების ჯირითობა, ღია ბარათი ლექსებით, მარჩიელი ჩაჩნის ქალი, მეოცე საუკუნის აფთიაქი, კომფეტები ყვავილები, ფოსტა, ბუფეტი, ბავშვებისათვის დროშებით სეირნობა და ტომრებში სირბილი: ვინც გაასწრებს საჩუქრად მიიღებს მამალს. **ლოტორეიაში ჩაგდებულია ერთი ქცევა მიწა, ცხენი, გახედნილი თხა უნაგრით, სამოვარი, საათი, გიტარა და სხვა.**

მოსეირნეთ დაურიგდებათ კონტრამარკები, რომელზედაც ვთხოვთ დაწერონ სახელი და გვარი ულამაზეს მოსეირნეთ შორის. ვინც რიცხვით მეტ ხმას მიიღებს, საჩუქრად მიეცემა ოქროს ჟეტონი. ულამაზეს ქალს ირჩევენ კაცები, კაცს—ქალები. შემოწირულება მიიღება ექიმ ტიტიკო ერისთავის სახელზე. ბაღში შესასვლელი 20 კ., ბავშვების 10 კ. (3—3)



ახლად გახსნილი

**ტფილისის**

## კერძო სამკურნალო

გარედან უოვედ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. **ფელდტოვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

გ. დ. **ლამბაშიძე**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ბ. ა. **პოპოვი**—პირველ სექტემბრამდე შეჩერა მიღება.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. **მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძებისგასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—149)

**ექიმი** მიუნხენის უნივერსიტეტისა **იორდანე მ. გოცაძე**

**დაბა ყვირილაში**

მიიღებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს 8—1 ს. გედევან ჩუბინიძის ნომრებში. ნახადილებს ივლის სახლში ავადმყოფებთან. (25—417—12)

**ექიმი** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემინდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდერონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (ს—586—241)

**ექიმი** ქ. ქუთაისში. **მ. დ. ბეთანოვი**

აფთიაქის, N 24, და კლუბის ქ., N 2, კუთხეში. იღებს სიფილისით, ვენერიულ, კანის და შინაგანის სენით ავადმყოფებს ყოველ დღე 25 აგვისტოდან დილით 9—11 ს. საღამოთი 5—8 ს. (25—ავ.—11)

**ექიმი** **ლ. ნ. ოჰანჯანოვი** ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კადეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის კუთხე.) (100—ზალ.—6)

**ექიმი** **ჩარექოვი** ქ. ქუთაისში. სპეციალისტი.

იღებს განსაკუთრებით **სიფილისით**, ვენერიულ და კანით ავადმყოფებს. დილით 12—2 ს., საღამოთი 5—6 ს. გეგუ ის ქუჩა, აბულაძის მესახვევი იოსელიანის სახლში. (25—ფ.—2)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფებსი მიღება. ოლგას ქუჩა, N 24. (უ)

**ექიმი** **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** **კ. თ. ტყეშელაშვილი** ქუთაისში

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—ავ.—54)

**ექიმი** **მ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნო, N 9. (უ)

**ექიმი** **კაკიტელაშვილი** ქუთაისში

9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს სომხის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან. მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—ნ.—58)



**ექიმი** **გ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი** **ვასილ წერეთელი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—5)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (9. 151.

ნაფიცი ვექილი

## სერგეი დავითის ძე ჯაფარიძე

**ქუთაისიდან გადავიდა ტფილისში**

(ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11, სასტუმრო „**ლონდონის**" ახლოს). (25—ნ.—1)

## 14 სექტემბერს გამოვა კვირეული გაზეთი „მერი"

ხელის მოწერა მიიღება „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში ბ. ავალიშვილთან.

გაზეთი წლის ბოლომდე ეღირება 2 მან., თითო ნომერი 10 კაპ.

რედაქციის ადრესი: არაგვის ქუჩა, № 5.

რედაქტორ-გამომცემელი **პ. სურგულაძე.** (5—2)

გამოვიდა

## დუტუ მეგრელის

ნაწერების პირველი წიგნი:

## ლექსები

წიგნი 262 გვერდია ჩვეულებრივ ფორმატისა.

ხელის მომწერნი მიიღებენ იმათგან, ვისთანაც ხელი მოაწერეს. ვინც პირდაპირ „დროების" რედაქციას გამოუგზავნა ფული, წიგნი გაეგზავნება ფოსტით. ცალკე გასასყიდად წიგნი ღირს 70 კაპეიკი (წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 20%). ვინც წიგნს დაიბარებს „დროების" რედაქციიდან, გასაგზავნი არ გადახდება; იმას კი, ვინც გამოიწერს არა ნაკლებ 10 ცალისა და ფულს წინდაწინვე გამოგზავნის, თითო წიგნი დაეთმობა

**სამ აბაზად**

მოკლე დროში გამოვა მეორე წიგნიც: „**მოთხრობები**". (10—უ. 2)

შესდგა ქართული ეროვნული

## ხორო

რომელიც ასრულებს ეკკლესიებში და მიცვალებულთა. დაკრძალვაზედ გალობას და კონცერტსა და წარმოდგენებში მონაწილეობის მიღებას.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ი. კარგარეთელს. (5—2)

**ქ. ქუთაისში.**

**თ. მთავრიშვილის წიგნის**

## მაღაზიაში

დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული სახელმძღვანელო, სამეცნიერო, სალიტერატურო, სახალხო და საყმაწვილო წიგნები, ქართული და რუსული მოძრავი ანბანი, რვეულები ქართულ და რუსულ წერისათვის. აქვე იყიდება ოჯახსა და სკოლაში საკითხავი ქართული წიგნი „**ბუთანი**", შედგენილი ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა მიერ.

სასწავლებლებს, ბიბლიოთეკებს, საქველ-მოქმედო დაწესებულებებს და წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10%. (25—ნ—22)


## ტფილისი, 5 სექტემბერი

მოახლოვდა სათათბიროს სესიის გახსნის ვადა და პრესასა და პოლიტიკურს პარტიებში დაიწყო ლაპარაკი მომავალ საპარლამენტო მუშაობაზე. რასაკვირველია, საზოგადოება მოუთმენლად ელოდა იმ ჟამს, როცა მესამე სათათბიროს „ხელმძღვანელი" პარტია დაარღვევდა სიჩუმეს და გამოამჟღავნებდა თავის მოღვაწეობის მომავალ გეგმას. ესეთი მოუთმენლობა ადვილად აიხსნება, ერთის მხრით, იმით, რომ ოქტომბრისტების გეგმა ბევრს სამართლიანად მიაჩნია თვით სტოლიპინის სამინისტროს გეგმად, მეორეს მხრით-კი იმით, რომ ოქტომბრისტების და ზომიერ მემარჯვენეთა კოალიცია მართლა შეადგენს დღევანდელ სათათბიროს უმრავლესობას, რომლისაგან დამოკიდებულია საკანონმდებლო მოღვაწეობის მიმართულება დღეს-დღეობით...

ბოლოს ეს ჟამიც დადგა და გუჩკოვის ფრაქციამ ამცნო საზოგადოებას თავისი განზრახვები: გაზეთებში ოფიციალურად დაიბეჭდა მომავალ სესსიის პროგრამმა, რომელიც სახელმძღვანელოდ მიუღია ცენტრს და რომელსაც მხოლოდ მოკავშირეების—ზომიერ მემარჯვენეთ — დასტური აკლია. უეჭველია, ეს დასტურიც არ დაიგვიანებს და, მაშასადამე, ჩვენ ხელთა გვაქვს ის უტყუარი მასალა, რომელიც შეძლებას გვაძლევს დაახლოვებული წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ რას მოგვცემს 1909—10 წლისპირველი საპარლამენტო სესსია.

არაფერს სანუგეშოს, არაფერს დიდმნიშვნელოვანს,—აი როგორი დასკვნა უნდა გამოიყვანოთ გამოქვეყნებულ პროგრამის წაკითხვისთანავე! მართლაც, რას ვპოულობთ ოქტომბრისტების მემორანდუმში ქვეყნის მიმართ. გაზეთების სიტყვით, სათათბიროს პირველ კრებებზე განსახილველად წარდგენილი იქნება მეთევზეობის ახალი წესდებულება, რომელსაც ოქტობრისტების წრეებში დიდ მნიშვნელობას აძლევენ, რადგან იგი შესამჩნევად გააფართოვებს იმ ადგილობრივ სათვითმართველობო მოღვაწეობას, რომელსაც კავშირი აქვს მეთევზეობასთანაო". შემდეგ ამისა სათათბიროს წარედგინება ვრცელი კანონ-პროექტი გლეხთა მიწების მფლობელობის განსაწესრიგებლად; ამ პროექტს მჭიდრო კავშირი აქვს უკვე მიღებულ 9 ნოემბრის კანონთანაო. მესამე ვრცელი კანონ-პროექტი, რომელიც უნდა განიხილონ იმავ სესიაში, არის იუსტიციის სამინისტროს პროექტი ადგილობრივ სასამართლოს შესახებ. ამას მოჰყვება ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტები ფინანსიურის და ეკონომიურის ხასიათისა, როგორიც არის, მაგალითად, ბაჟი მემკვიდრეობაზე, შემოსავლის გადასახადი და სხვა. მოსალოდნელია აგრეთვე, რომ სათათბიროს პირველ სესიასვე წარედგინება განსაკუთრებულ კომისიის მიერ შემუშავებული კანონ-პროექტი საყოველთაო სავალდებულო პირველ-დაწყებით სწავლების შემოღების შესახებ... ეს არის და ეს, რასაც გვპირდება ოქტომბრისტების გეგმა. თითოეული აქ დასახელებული პროექტი ვრცელია, მრავალ განყოფილება და მუხლებიდან შემდგარი; თითოეულის განხილვას სათათბირო ბევრ დროს მოანდომებს. მარტო ადგილობრივ სასამართლოს პროექტის განხილვას უნდა ორი თვეო, მოწმობენ გაზეთები. ამ მსხვილ პროექტებს დაუმატეთ რამდენიმე ასი წვრიმალი კანონ-პროექტი, რომელსაც მთავრობა ჩვეულებრივ მიაყრის სათათბიროს, და თქვენ დარწმუნდებით, რომ პირველ უახლოეს სესიის დრო სრულებით დაჭერილია და სხვა რამ მთავარ საქმისთვის სათათბიროს აღარ ეცლება...

ამნაირად, კვლავ სხვა დრომდე უნდა გადაიდოს იმ უმთავრეს რეფორმების განხილვა, რომელთაც უახლოესი კავშირი აქვთ 17 ოქტომბრის მანიფესტთან და რომელთა განხორციელებას ამაოდ მოელის რუსეთი ეს რამდენიმე წელიწადია. ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი ისაა, რომ არც მთავრობა, არც პარლამენტის ხელმძღვანელი უმრავლესობა არ ჰფიქრობენ ჯერ რუსეთში მოქალაქობრივ წესწყობილების აღდგენას. უკვე დამზადებული კანონპროექტი „პიროვნების ხელუხლებლობის" შესახებ, რომლიდან დამოკიდებულია სამხედრო და სხვა განსაკუთრებულ წესების გაუქმების საქმე, არც მომავალ სესსიაში წარედგინება სათათბიროს. მაშასადამე ეს პირველი საქმე, ეს პირველი ნაბიჯი, ურომლისოდ შეუძლებელია საკონსტიტუციო წესწყობილების განმტკიცება, არც მომავალ წელს იქნება განხორციელებული და რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობა სრულებით უცვლელი დარჩება. მთავრობას და მის მომხრე პარტიებს ის გარემოებაც ვერ აბედვინებს ხსენებული ნაბიჯი გადადგან, რომ პროექტი „პიროვნების ხელუხლებლობისა" სრულიად დაამახინჯა კომისიამ; მიუხედავად იმისა, რომ ამ პროექტის ძალით მთავრობას ყოველთვის ექნება საშუალება გააუქმოს საკონსტიტუციო გარანტიები და ისევ განსაკუთრებული წესები შემოიღოს, მიუხედავად ამისა მთავრობა მაინც არ სცნობს შესაძლებლად ხსენებული პროექტი კანონად აქციოს, და საპარლამენტო უმრავლესობაც მხარს უჭერს ამაში..-

ეს ერთი მაგალითიც საკმაოდ მოწმობს რომ არა-თუ უახლოეს სესსიაში, შემდეგ სესიებშიაც არაფერს არ უნდა მოელოდეს რუსეთი იმ ელემენტებისაგან, რომელთაც ბედმა და სამ ივნისის კანონმა ხელში ჩაუგდო დიდ სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე.


დამყნილ ამერიკულ ვაზის სანერგე

## „სანდო"

**გიორგი მიხეილის ძის ჩივაძისა ქუთაისში, ბალახვანის ქუჩა.**

სანერგის პატრონი დაჯილდოვებულია საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების ვერცხლის მედლით. (10—ნ.—10)

იყიდება ყველგან ახალი

## ჩანგი

წიგნი 502 გვ., ჩართულია 60 მეტი სურათი საზოგადო მოღვაწეებისა. დაბეჭდილია მრავალი ისეთი ლექსები, სცენები, სახუმარო და საოხუნჯო კუპლეტები, რომლებიც ჯერეთ არსად არ დაბეჭდილა. სხვათა შორის მოთავსებულია სამი პიესა: „**ადვოკატთან**", „**ტაინი სოვეტნიკის სიზმარი**" და „**უბედური დღე**". **წიგნი მშვენიერის ყდით ღირს 1 მ. 35** კაპ.—**უყდო 1 მან.** ფოსტით ვინც გამოიწერს, მას გასაგზავნი ფული არ გადახდება. ფულის მაგიერ შეიძლება მარკებიც. წიგნების გამყიდველებს დაეთმობათ პროცენტები.

ადრესი: Тифлисъ, „Сорапанъ" Гачечиладзе. (30—ნ.—8)

## ქუთაისში

**ქალთა სკოლა პროფესიონალურ განყოფილებით ნ. ლ. მიქელაძისა**

## გადავიდა

თ-დ ნიჟარაძის სახლში თფილისის ქ., ოლდენბურგის ქ. პირდაპირ. მოსწავლეების მიღება დაიწყება 20 აგვისტოს, სწავლა 1 ენკენისთვეს.

სკოლაში ასწავლიან: ქართულ-რუსულ წერა-კითხვას, ხელოვნურ ხელსაქმეს და ჭრა-კერვას. ვისაც სურს, გარეშე ამისა ცალკე შეისწავლოს ხელოვნური ხელსაქმე და ჭრა-კერვა, იმათთვის შეცადინეობა იქნება სასწავლებელში ნაშუადღევს 4—6 ს. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თვით სასწავლებელში. (8—ავ.—8)

## დ. ჩოხატაურში

გახსნილი

## წიგნის მაღაზია

საკანცელიარიო ნივთებით და ყდების საკაზმავი განყოფილებით.

მაღაზიაში მოიპოვება ყოველგვარი სახელმძღვანელოები, რვეულები და საკანცელიარიო ნივთები. ვყიდით იაფათ. ვკისრულობთ ჟურნალ-გაზეთების აგენტობას და ვღებულობთ სასტამბო საქმეებს. იმედი გვაქვს ყველა მასწავლებლები და საზოგადოების შეგნებული ნაწილი მხარს დაგვიჭერს, რომ ჩოხატაურში იარსებოს ისეთმა სიმპატიურმა დაწესებულებამ, როგორიც არის წიგნის მაღაზია.

(3—433—2) **სილ. თავართქილაძე.**


## დეპეშები

(პეტ რს. დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 სექტემბერი

### სპარსეთი

**თეირანი.** მინისტრებმა ხელი მოაწერეს იმ განაჩენს, რომლითაც სპარსეთის ახალი მთავრობა მოვალეა რუსეთის ბანკს გადაუხადოს შაჰად ნამყოფის ვალი. მთავრობამ ეს ვალი ათი წლის განმავლობაში უნდა გადაიხადოს. ვალს უზრუნველ ჰყოფს ჩრდილოეთ დამოენების შემოსავალი.

### საზღვარ-გარედ.

**ტოკიო.** ბანკირების კლუბში ფინანსთა მინისტრმა გრძელი სიტყვა წარმოსთქვა. მინისტრი თავის სიტყვაში იაპონიის ფინანსიურ მდგომარეობას შეეხო. მინისტრმა სთქვა, იაპონიის ფინანსები კარგ მდგომარეობაშია. წრეულს 53,000,000 იენს მივცემთ ვალშიო. მინისტრს იმედი აქვს, რომ ინგლის-იაპონიის კავშირი განმტკიცდება. ორატორმა აღნიშნა, შეერთებულ შტატებთან კარგ დამოკიდებულებაში ვართო. ჩინეთსა და იაპონიას შორის უკანასკნელ დროს ჩამოვარდნილი უთანხმოება უკვე მოსპოვო.

**კალკუტა.** გუშინ, 3 სექტემბერს კალკუტიდან 57 კილომეტრის მანძილზე ყუმბარა ესროლეს სამგზავრო მატარებელს. დაზიანებულია საფოსტო ვაგონი. არავინ დაშავებულა.

**მადრიდი.** გუშინ, 3 სექტემბერს მავრები თავს დაესხნენ პენიდეგომერს. ესპანელებმა სროლითვე უპასუხეს. მავრებმა უკან დაიხიეს, მაგრამ მალე ისევ იერიში მოიტანეს. მავრები ესპანელებმა ხელმეორედ უკუ აგდეს. დღეს, 4 სექტემბერს სრული მშვიდობიანობაა.

**კაპშტადტი.** პოინტას კონცხის ახლო ჩაიძირა გემი „კინგუმმალი". მგზავრები ნავებით გადაარჩინეს. ერთი ნავი გადაბრუნდა. მგზავრებიდან დაიხრჩო 11 კაცი,

### რუსეთი

**ნოვოჩერკასკი.** დონის პოლიტეხნიკუმმა საკითხი აღძრა ნოვოჩერკასკში აეროდინამიური ინსტიტუტი დაარსდესო. ინსტიტუტის დაარსება და მოწყობა დაჯდება 160,000 მანეთი.

**ვარშავა.** დააპატიმრეს 12 კაცი, რომლებსაც დაეარსებინათ საიდუმლო კანტორა. კანტორას ემიგრანტები გადაჰყავდა საზღვარზე.

**ეკატერინოდარი.** გუშინ, 3 აგვისტოს, საღამოთი ოთხი ბოროტ-განმზრახველი თავს დაეცა ელისავეტო-ხოროშუკის სოფლის სამმართველოს. ბოროტ-განმზრახველებმა გაიტაცეს 2,000 მანეთი, ბეჭედი და საპასპორტო ბლანკები. მოჰკლეს ერთი ბოროტ-განმზრახველი.

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა მინისტრის ნება-რთვით 14—19 სექტემბერს გაიმართება სრულიად რუსეთის ბაპტისტთა კრება.

**პეტერბურგი.** 1910 წლის იანვარში ქალთა დამხმარე საზოგადოება გამართავს სრულიად რუსეთის კრებას. კრებამ უნდა შეიმუშავოს ზომები—„ცოცხალ საქონლით" ვაჭრობის მოსასპობად. საზოგადოებამ უკვე მიიღო ნება-რთვა.

**ვალკი.** დაიწვა 130 სახლი და წრევანდელი მოსავალი.

**ივანოვო-ვოზნესენსკი.** იწვის ზოთოვინის ქარხანა.

**ვარშავა.** ლეგანიე ჰაეროპლან „ვუაზენ"-ზე სამჯერ გაფრინდა. ლეგანიემ სამჯერვე ცოტა იფრინა.

**ვერხნედნეპროვსკი.** ოლქის სასამართლომ განიხილა 113 გლეხის საქმე. ამათ ბრალდებოდათ სოფლის ლიხოვკისა, უსპენსკისა და ალექსანდროვსკის ებრაელების აწიოკება. სასამართლომ ზოგს დაპატიმრება გადაუწყვიტა, ზოგი გაამართლა.

### ხოლერა

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად გახდა 43, გარდაიცვალა 11, ავად არის 346 კაცი.

**ასტრახანი.** ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი.

**კიევი.** ავად გახდა 1 კაცი.

**პსკოვი.** ომსკის პოლკში ავად გახდა 33 სალდათი.

**რეველი.** იოხიმსებალში ავად გახდა 2, კრენგოლმში 1 კაცი.

## პროვოკატორი პოლიციელები

ამ რამდენიმე დღის წინად „კასპი"-ში დაიბეჭდა და ჩვენც გადმოვბეჭდეთ, რომ ბაქოში სასტუმროში დააპატიმრეს ორი ქართველი, რომელთაც ექვსი ყუმბარა აღმოაჩნდათ. „კასპი" ამის შესახებ სწერს:

როდესაც ორი ქართველი დააპატიმრეს და ექვსი ყუმბარა უპოვნეს, ეგონათ, რომ ყუმბარები რაღაც დიდი საქმისათვის იყო დანიშნული, მაგალითად, ბანკის გასაძარცვავად, ან სხვა რამ დიდი ექსპროპრიაციისთვის. მაგრამ იყო ზოგიერთი ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს უბადებდა კაცს. ყუმბარები ძალიან უბრალოდ იყო გაკეთებული, შიგ სულ რაღაც 60 მისხალი წამალი ჩაეყარათ, ფითილები ყუმბარებს უბრალოდ ჰქონდათ გაკეთებული და სხვა. ეჭვი შეეპარა აგრეთვე ბაქოს გრადონაჩალნიკს მარტინოვს. მან თვითონ მიჰყო ხელი გამოძიებას და მალე აღმოჩნდა, რომ ყუმბარების მომზადებაში მონაწილეობა მიეღო ბაქოს მაძებარ (სისკნი) პოლიციის 2 აგენტს. აგენტებისთვის ყუმბარების დამზადება მიუნდვია ადგილობრივ მაძებარ პოლიციის უფროს დურიევს.

ამ ბოლო დროს დურიევის მდგომარეობა ცოტა შეირყა და თავის სახელის ასადგენად მას გადაუწყვეტია, რაიმე საქმე აღმოეჩინა. მიმდინარე წლის გაზაფხულზე უნდოდათ დურიევის სამსახურიდან დათხოვნა და სამართალში მიცემა, მას ტუსაღის წამება ჰბრალდებოდა. მაგრამ სწორედ ამ დროს მაძებარმა პოლიციამ აღმოაჩინა, რომ გემ „ნიკოლოზ მეორეს" თავდასხმას უპირებდნენ (უმრავლესობა ქართველები შეიპყრეს). ამ გემიდან ფული უნდა წაეღოთ. რაკი ეს მოხდა, დურიევის სამსახურიდან დათხოვნა გადაიდო. გრადონაჩალნიკმა მარტინოვმა უკანასკნელ თვეებში ბევრი რამ შენიშნა დურიევის მოქმედებაში და ხელახლა წამოაყენა საკითხი დურიევის დათხოვნის შესახებ. დურიევმა გადასწყვიტა, ადმინისტრაციისთვის დაენახვებინა თავისი მოღვაწეობა და ამ პროვოკაციას მიჰმართა.

ერთმა დაპატიმრებულთაგანმა გრადონაჩალნიკს გადასცა მოწმობა, საიდანაცა სჩანს, რომ იგი ტფ. მაძებარ პოლიციის აგენტია. გრადონაჩალნიკის ბრძანებით დურიევი და მაძებარ პოლიციის ზედამხედველი ბაგიროვი სამსახურიდან დაითხოვეს და სამართალში მისცეს".

როგორც ჩვენ ბაქოდან გვატყობინებენ, ხსენებული აგენტები ყუმბარებს ამზადებდნენ იმიტომ, რომ პროვოკაციურის აზრით ფოსტას ან რომელსამე ბანკს დასცემოდნენ.

## სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ქუთაისში

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ქუთაისში ამ შემოდგომაზე იმართება სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. (გამოფენა გაიხსნება 26 სექტემბერს). გამოფენის ინიციატივა ეკუთვნის მიწათ-მოქმედების უწყებას. წინადაც ვწერდით და ეხლაც ვიმეორებთ, რომ გამოფენისთვის მეტად უხერხული დრო აირჩიეს. როგორც ეტყობა, ამ აზრისა მარტო ჩვენ არა ვყოფილვართ.

ქუთაისის გუბერნიაში სცხოვრობს მეღვინეობისა და მევენახეობის სპეციალისტი ბ-ნი ტიებო, რომელსაც ამერიკულ ვაზის სანერგე აქვს—„კლოქვურული". ბ-ნ ტიებოს გამოფენის გადადების ზესახებ ქაღალდი მიუცია გამოფენის გამმართველ კომიტეტის თავმჯდომარისათვის. ბ-ნ ტიებოს აზრით, გამოფენა უნდა გაიმართოს 1910 წელს, მას მდგომარე წელს შეუძლებლად მიაჩნია გამოფენა და აი რად:

„1. მიმდინარე წელს ისეთი არაჩვეულებრივი გვალვები დაიჭირა, რომ სრულებით გააფუჭა სიმინდისა და ყურძნის მოსავალი. ასე გასინჯეთ, გვალვამ ტყეში დიდი ხეებიც კი გაახმო. ამის გამო მცხოვრებთ შეძლება აღარა აქვთ, გამოჰფინონ სიმინდი, ყურძენი, ამერიკულ ვაზზე დამყნილი ჩვენებური ვაზი, ხილეულობა და სხვა, რასაც სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. თუნდაც მოხერხდეს რაიმე ნაწარმოების გამოფენა, ეს ნაწარმოები იმ სახისა და ისეთი არ იქნება, როგორიც ქუთაისის გუბერნიაში მოდის. სასოფლო-სამეურნეო გამოფენას უმთავრესი მნიშვნელობა გლეხებისათვის აქვს. გლეხებმა აქ უნდა შეისწავლონ სასოფლო-მეურნეობა. გვალვამ გააფუჭა წლევანდელი მოსავალი, მცხოვრებთ საზამთრო საკვები არა აქვთ და ამიტომ ვერ შესძლებენ გამოფენაზე ჩასვლას და დათვალიერებას.

„2. გამოფენის გახსნამდე ერთი თვეღა დარჩა. მაუხედავად ამისა, ჯერ არაფერია გაკეთებული. მე კერძოდ მონაწილეობა მიმიღია 50 გამოფენაში, ბევრჯელ და ბევრგან ვყოფილვარ კომიტეტებისა და საექსპერტიზო კომისიების წევრად და ამიტომ გამოცდილებით ვიცი, რომ რაც უნდა შრომა გასწიონ და მუყაითობა გამოიჩინონ, შეუძლებელია ერთი თვის განმავლობაში გამოფენის რიგიანად მოწყობა. მით უმეტეს შეუძლებელია ეს ქუთაისში, რადგან ქალაქს მცირე შეძლება აქვს და დახმარების იმედი არ არის. ჩვეულებრივ მიღებულია, რომ გამოფენის მოწყობას აბარებენ რომელსამე მოიჯარადრეს. იმან უნდა გამართოს თაროები, მორთოს გამოფენა და გააკეთოს მრავალი სხვა წვრილმანი რამ. მოიჯარადრეს წინდა-წინვე ურიგდებიან, რა უნდა აილოს თვითეულ ოთხ-კუთხ არშინში. ეს შეძლებას აძლევს ექსპონანტებს ერთ პირთან იქონიონ საქმე, მიმართონ მას სიტყვიერად, თუ წერილობით და სთხოვონ საჭირო ადგილის დამზადება. ამასთან ექსპონანტმა წინდა-წინვე იცის, რა დაუჯდება განსაზღვრულ ადგილის დაკვეთა. ეხლა-კი არაფერი ამისთანა არ არის: ექსპონანტს შეძლება არა აქვს, ვისმე მიმართოს და ადგილი დაიკვეთოს; მეორეს მხრივ ექსპონანტს არ შეუძლიან ქუთაისში ჩავიდეს და აქ დიდხანს იცხოვროს თავის ადგილის მოსაწყობად ამის გამო ექსპონანტები ძალიან ცოტა რამეს გამოჰფენენ.

„3. გამოფენის შესახებ განცხადებანი ძალიან გვიან გამოსცეს. ამას გარდა, ვერც გაავრცელეს. განცხადება ქართულად არც კი დაუბეჭდნიათ და გაუვრცელებიათ. ამის გამო, ბევრი ჩივის, ბევრი იძახის, არ ვიცით რაშია საქმე, რა პირობებში უნდა გამოვფინოთ ჩვენი ნაწარმოებნიო. მცხოვრებთა ძალიან მცირე ნაწილმა იცის გამოფენის მნიშვნელობა. არ ეცადნენ შეეგნებინებინათ თვითეულ მემამულისა და გლეხებისთვის, რომ გამზადებინათ რამე საქონელი და გამოფენაზე მიეტანათ. გამოფენაზე მარტო ის-კი არ უნდა იყოს, რაც ქუთაისის გუბერნიაში მოდის, არამედ ისიც, რის მოყვანაც ამ გუბერნიაში შეიძლება. გამოფენამ მცხოვრებთ ქუთაისის გუბერნიის სასოფლო მეურნეობის სრული სურათი უნდა დაინახოს. ყველამ იცის, რომ იმერეთში კარგი ხილეულობა, მწვანილეულობა და ყურძენი ან ადრე გაზაფხულზე შემოდის ან გვიან შემოდგომაზე, ივნისსა, ივლისსა და აგვისტოში და ისიც ამ გვალვებში, გამოსაფენად კაცი რიგიანს ვერაფერს დაამზადებს, აპრილსა და მაისში შემოსულ ნაყოფის ოქტომბრამდის შენახვა და აგრეთვე ოქტომბერში შემოსულის აპრილამდე შენახვა შეუძლებელია. ცნობილია რომ წვანილეულობას, ყურძენს და ხილს იმერეთის სოფლის მეურნეობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. მცხოვრებნი შედარებით თავისუფალნი არიან აგვისტოში, ვიდრე სექტემბერსა და ოქტომბერში—სიმინდის და ყურძნის დაბინავების დროს. რომ თებერვლიდან დაიწყონ გამოფენისთვის მზადება, აგვისტოსთვის ბევრს კარგს რასმეს დაამზადებენ. ეხლანდელი დრო გამოფენისა—ოქტომბერი—ძალიან დაგვიანებულია. საჭირო მცხოვრებლებმა იანვრიდანვე იცოდნენ, რა უნდა დათესონ, რა უნდა მოამზადონ გამოფენისთვის.

„4. გამოფენის მიზანი უნდა იყოს: ა) აჩვენონ მთელი რუსეთისა და უცხოეთის მრეწველთ, რა მოჰყავთ ქუთაისის გუბერნიაში და რის მოყვანა შეიძლება. ბ) აჩვენონ მცხოვრებთ, რანაირად შეიძლება სოფლის მეურნეობის გაუმჯობესება. ამას გარდა უნდა აჩვენონ სხვა და სხვა ახლად გამოგონილი სოფლის მეურნეობისთვის საჭირო იარაღი, მანქანები და სხვა. საიდან მოდის ეს იარაღები და მანქანები? რუსეთიდან და უცხოეთიდან. თუმცა ეს ასეა, მაგრამ რუსეთისა და უცხოეთის მექარხნეებმა არც კი იციან ქუთაისში გამოფენა იმართება თუ არა. მე ჩემთავად ორ ფრანგულ ჟურნალში გამოვაცხადე, ქუთაისში სასოფლო-სამეურნეო გამოფენა იმართება მეთქი. ამის შემდეგ 30 წერილზე მეტი მივიღე, მთხოვდნენ ცნობებს. 10—12 მექარხნემ უკვე განაცხადეს თანხმობა გამოფენაში მონაწილეობის მიღებისა. მე რომ შესაფერი მინდობილობა და დრო მქონოდა, შემძლო 50 და მეტი ექსპონატის შოვნა. ვინ იტყვის, სასარგებლო და საჭირო არ არის ქუთაისში გამოიფინოს მანქანები და სხვა და სხვა იარაღი, სხვა ქვეყნების სოფლის ნაწარმოები, აჩვენონ და განუმარტონ ხალხს მიწის დამუშავება, მეფუტკრეობა, მეღვინეობა, მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, მეტყეობა, ფრინველის მოშენება, და სხვა ამისთანები. ჩემის აზრით, ზემოდ ჩამოთვლილი მიზეზები საკმაოა, (არის სხვა მიზეზებიც), რომ გამოფენა მომავალ წლისთვის გადაიდოს.

„5. აქამდის ძალიან ცოტა იცოდნენ და ძალიან ცოტას ზრუნავდნენ ქუთაისის გუბერნიის სოფლის მეურნეობაზე. ეხლა შემთხვევა ეძლევათ დაანახონ ყველას, რა მომავალი მოელის ქუთაისის გუბერნიის სოფლის მეურნეობას და თუ გამოფენა ურიგოდ მოეწყო, ქუთაისის გუბერნია ბევრს დაჰკარგავს. უმჯობესი იქნება საქმე გვიან გაკეთდეს, კარგად და რიგიანად, ვიდრე ადრე, მაგრამ უხეიროდ და ურიგოდ.

**„დროების" ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: „უეცარი ტალღა", დრამა (შემდეგი) ლევ მეტ . ვერლისა; სურათები: „მიწის მუშა".—ქამდაკება მუშისი. ჩრდილოეთ პოლიუსის აღმომჩენი ფრედერიკ კუკი, ბათუმის ოლქში მცხოვრები ლაზები და კარიკატურა.**

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ქუთაისის ბანკის რევიზია და სამართალში მიცემა.** დეპეშათა სააგენტო იუწყება: „განსაკუთრებულ კომისიის მიერ ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის საქმეთა გამოძიების შემდეგ, გუბერნატორმა შუამდგომლობა აღძრა, დაინიშნოს ამ ბანკში მთავრობის რევიზია. გუბერნატორს გადაეცა კომისიის მოხსენება დამნაშავეთა სამართალში მისაცემად.

✦ **დუტუ მეგრელის ლექსები.** მივიღეთ დუტუ მეგრელის ნაწერების პირველი წიგნი: ლექსები. წიგნი შეიცავს 256 გვერდს ჩვეულებრივ ფორმატისას და კარგ ქაღალდზეა ლამაზადა და სუფთად დაბეჭდილი. წიგნში სამი განყოფილებაა: ლირიკა, პოემები და იგავ-არაკნი. მოთავსებულია 200-მდე ლირიკული ლექსი, სამი პოემა და 11 იგავ-არაკი, 1885—1909 წლებში დაწერილი.

✦ **უყურადღებოდ დატოვება.** დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს: „მთავარმა სამხედრო სასამართლომ უყურადღებოდ დასტოვა საკასაციო საჩივარი ტფილისის ექვსი მცხოვრებისა, რომელთაც ვაჭარ იარალოვის გატეხვისთვის სიკვდილი ჰქონდათ გადაწყვეტილი".

✦ **ფულის გატაცება.** გუშინდელ დეპეშაში უკვე მოხსენებული იყო, რომ ეკატერინოდარის მახლობლად საფოსტო მატარებლიდან გაიტაცეს ფული. ფული წაართვეს მეარტელეს, სულ წაიღეს 22 408 მანეთი. მოჰკლეს ორი სტრაჟნიკი და ერთი მეარტელე. გატაცებელნი მიმალულნი.

✦ **ლექცია გ ბილანაშვილისა.** სამშაბათს, 8 სექტემბერს დილით ზუბალაშვილის სახალხო სახლში ბ-ნი გ. ბილანაშვილი წაიკითხავს რუსულად ლექციას „გაჭირვებულ და დამშეულ ხალხზე".

✦ **წიგნის გამომცემელთა კრება.** წიგნის ვაჭრებმა მ. გაჩეჩილაძემ, ზ. ჭიჭინაძემ, ის. კვიცარიძემ, ი. მერკვილაძემ და გადლიამ საერთო თხოვნით მიმართეს წ.-კ. საზოგადოების გამგეობას და სთხოვეს, მოიწვიოს წიგნების გამომცემელთა საერთო კრება ზოგიერთ საკითხის გამოსარკვევად. [illegible] გამგეობამ 3 სექტემბერს დაადგინა, ამ საქმის შესახებ მოხსენების შედგენა დაავალოს საადმინისტრაციო სექციას.

✦ **მოროზოვის ლექცია.** დღეს საღამოთი თავად-აზნაურთა თეატრში ცნობილი მოროზოვი წაიკითხავს ლექციას „ფილოსოფიურ ქვის ძიებაზე".

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ სახალხო უნივერსიტეტის ქართულ წარმოდგენების სექციის წევრთა შორის უთანხმოება ჩამოვარდა. უნივერსიტეტის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე თათბირი იქონია სექციის ახალ წევრების მოწვევაზე. გამგეობამ გაიცნო საქმის ვითარება და დაადგინა, დაავალოს სექციის თავმჯდომარეს მოიწვიოს სექციის წევრნი და წინადადება მისცეს, განაგრძოს სექციამ მოქმედება იმ დრომდე, ვიდრე სექცია მიიღებს გამგეობის მიერ დამტკიცებულ ახალ წევრთა სიას. უნივერსიტეტის გამგეობამ ამავე სხდომაზე მოახდინა არჩევანი საზოგადოების სკოლების მზრუნველებისა. ვერის I სკოლის მზრუნველად არჩეულ იქმნა ექიმი პ. პიჭინაძე; ვერის მეორე სკოლის მზრუნველებად—ვ. ი. რცხილაძე და მამედ-ყული ზადე; ავლაბრის სკოლისა—ბ-ნი მეკკელი, ავჭალის ქუჩის სკოლისა—ერმოლაევი, გოგოლის ქუჩის სკოლისა—ივ. კაჩუხოვი, ხოლო ნაძალადევისა—ლემანი.

✦ **თავდასხმა.** დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს: „ზოგოროდსკის მახლობლად (პრიმორსკის ოლქში, ციმბირში) კავკასიელთა ბრბო 30 აგვისტოს თავს დაეცა გადასახლებულთა ექსპედიციას. ბრბო ჩაესაფრა ოქროს გასატაცებლად, რომელიც მახლობელ ოქროს მადნებიდან უნდა გაეტარებინათ. ერთი მუშა მოკვდა მეორეს ფეხი მოსჭრეს".

✦ **სამკითხველო დიდუბეში.** დიდუბის მცხოვრებთ საერთო თხოვნით მიმართეს წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას და სთხოვეს, დიდუბეში გაიხსნას სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველო. დიდუბეში არ მოიპოვება სამკითხველო.

✦ **მასწავლებლები** სახალხო უნივერსიტეტის სკოლებში ორი მა-

## შეთანხმების იმედი

**(1903 წლიდან—1909 წლამდე).**

(დასასრული *)

**9.**

როგორც უკვე ვიცით, ბ-ნმა დ—მა გაზეთ „ალიონ"-ში გაილაშქრა ცენტრალიზმის და ცენტრალისტების წინააღმდეგ. „ალიონის" დაკეტვის შემდეგ მან ეს საქმე განაგრძო „ჩვენ კვალ"-ში და აქ მკითხველის წინაშე გადაშალა თავისი ეროვნული პროგრამმა. სწორედ ამ ხანებშივე იბეჭდებოდა ცენტრალისტ ს.-დემოკრატების ორგანოში ბ-ნ ჩხენკელის წერილები და „ჩვენმა კვალმაც" უყურადღებოდ არ დასტოვა ისინი. გაზეთი გაბედულად ამხედრდა იმ პოლიტიკო-იურიდიულ მცნებათა არევის წინააღმდეგ, რომლითაც ასე კადნიერად გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ბ-ნი ჩხენკელი. „ჩვენი კვალი" ამბობს: „ავტონომია უეჭველად **პოლიტიკურია**, ადგილობრივი თვით-მართველობა კი უეჭველად ადმინისტრატიულია... ავტონომიას მინიჭებული აქვს თვით-არსება სახელმწიფო უფლებისა, ე. ი. კანონმდებლობა... ხოლო საკუთარი კანონები თავის თავად იგულისხმებს საკუთარ სასამართლოს და მართველობას, ასე რომ ავტონომიას აქვს სახელმწიფო უფლების ყველა ფუნქციები და ყველა ორგანოები და აი ამიტომაც სახელმწიფო ძნელად გასარჩევი ხდება ავტონომიისაგან. აქ არსებითი განსხვავება წაშლილია... მაშ ასე, წინააღმდეგ ამხანაგ ჩხენკელისა, ავტონომიისა და ადგილობრივ თვით-მართველობის შუა განსხვავება ყოფილა ღრმა, ძირითადი და არსებითი"-ო[1]).

*) იხ. „დროება" N 196.

[1]) ibid № 18.

გაზეთი მომხრეა კანონების ერთ იგივეობისა, ე. ი. საერთო საკანონმდებლო დაწესებულების არსებობისა ერთ სახელმწიფოში მცხოვრებ სხვა და სხვა ერთათვის, ხოლო იმ აუცილებელ პირობით, რომ ერთა სოციალ-ეკონომიური პირობებიც მსგავსნი და ერთგვარნი იყვნენ. „წინააღმდეგ შემთხვევაში, — ამბობს გაზეთი,—კანონების ერთ-იგივეობა ნიშნავს პრივილეგია - უპირატესობასა და ბატონობას ერთის მხრივ და ჩაგვრა - მონობას მეორეს მხრივ".[2]) რუსეთის სახელმწიფოში პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის უარის-ყოფა და კანონებისა და კანონდების იგივეობის მოთხოვნა, ნიშნავს სოციალ-ეკონომიურ განვითარების შებორკვას და უკიდურესს ნაციონალურ ჩაგვრა-მონობის დადასტურებასო.

ბ-ნი ჩხენკელი თავის წერილებში ხშირად ლაპარაკობს იმ საერთო ინტერესების შესახებ, რომელნიც არსებობენ კავკასიის სხვა და სხვა ერთა ცხოვრებაში. ამ საერთო ინტერესებს მომავალში გაუძღვება კავკასიის საოლქო სეიმი. ამის შესახებ „ჩვენი კვალი" გამოსთქვამს შემდეგ მოსაზრებას: „კავკასიის მთა-გრეხილებისა და ველების გვირაბებით, არხებით და სამიმოსვლო გზებით დასერვა ძალიან კარგი საქმეა, მაგრამ როგორ გნებავთ ეს შეასრულოთ, თუ კი ყოველ ცოტად თუ ბევრად საყურადღებო გზის გაყვანისთვის „რაზრეშენიას" უნდა უცდიდეთ პეტერბურგიდან, ან როგორ უნდა გამოიყვანონ გზა, თუ კი პეტერბურგისაგან დადებული ტარიფი ძირს უთხრის ადგილობრივ ვაჭრობა-მრეწველობას, და არც ადგილობრივ მგზავრების ჯიბეს შეესაბამებაო".[3]) ბ-ნ ჩხენკელს თავი მოაქვს იმითი, რომ მისი თვით-მმართველობა დემოკრატიულ პრინციპზეა დამყარებული. „ჩვენი კვალი" ამასაც სკეპტიკურად უყურებს: დიდი არაფერია, თუ ადგილობრივ მკვიდრთ შეიძლებათ უფლება თვითონვე აირჩიონ ხოლმე თავიანთი მოხელეები (ადმინისტრატიული თვით-მმართველობა). „რას აქნევთ არჩეულ მოხელეებს, თუ კი თვით საქმეების დაწყება, გაძღოლა, მიმართულება და ხასიათი დამოკიდებულია უცხო გარეშე ცენტრზე, რომლის განუწყვეტელი ზრუნვაა თავის საწველ ფურად გიყოლიოთო[4])". ერთის სიტყვით, „ჩვენი კვალი" გარკვევით და აშკარად გამოდის პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის მომხრედ და ამიტომაც არის, რომ იგია მომხრე როგორც კავკასიის ისე საქართველოს ავტონომიებისა. გაზეთი ამბობს: „ნაცვლად საოლქო თვითმართველობისა, რომელიც იგულისხმებს მხოლოდ ფართო ადმინისტრატიულ თვითმართველობას, ჩვენ ვთხოულობთ ავტონომიას, რომელიც იგულისხმებს განსაზღვრულ პოლიტიკურ თვითმართველობას. დიახ, ჩვენ ვაღიარებთ კავკასიის ავტონომიის საჭიროებას[5])". ყველა ამისთვის გაზეთს საჭიროდ მიაჩნია, რომ კავკასიის მცხოვრებთ მოიპოვონ სახელმწიფოებრივი უფლება. საოლქო სეიმი კი უნდა იყოს ნამდვილი პარლამენტი და არა ადმინისტრატიული ორგანო.

[3]) ibid. № 16.

[4]) ibid.

[5]) ibid. № 10.

კავკასია გახდება რუსეთის სახელმწიფოს ავტონომიური ნაწილი.

მაგრამ გაზეთი აქაზე არა ჩერდება. იგი ლაპარაკობს კავკასიის სხვა და სხვა ერთა ეროვნულ ცხოვრების ორგანიზაციაზედაც. გაზეთი ამბობს: „ნაცია, რომელსაც არ მოეპოვება ერთიანი ტერიტორია, არამედ გაფანტულია მთელ ამ მხარეში (მაგალითად, სომხობა), ტერიტორიის მიუხედავად შეადგენს ერთს ნაციონალურ ერთეულს, რომლის ყველა ნაციონალურ-კულტურულ საქმეების შესახებ კანონმდებელია მისი საკუთარი ნაციონალური საბჭო. ხოლო ის ნაცია, რომელსაც ხსენებული ტერიტორია მოეპოვება (მაგ. ქართველობა), შეადგენს ცალკე თვითმართველ კანტონს—ერთ ნაციონალურ-ტერიტორიალურ ერთეულსო".[6]) მაშასადამე, გაზეთი მომხრეა როგორც კულტურულ ავტონომიისა, ისე ნაციონალურ-ტერიტორიალურისა, — საქართველოს ენიჭება ნაციონალურ-ტერიტორიალური ავტონომია. „საქართველოს პარლამენტის კომპეტენცია უნდა გავრცელდეს საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა სფერაზე, ყველა სოციალ-კულტურულ საქმეებზეო" [7]).

მაშასადამე აქ ლაპარაკია პოლიტიკურ ავტონომიაზე და უფლებრივის მხრივ იგი არ ჩამოუვარდება კავკასიის ავტონომიას, ეს ლოღიკურად გამომდინარეობს ყველა იქიდან, რასაც ამბობს „ჩვენი კვალი" საქართველოს პარლამენტის კომპეტენციის შესახებ. მაგრამ, საუბედუროდ, გაზეთს თითქოს ეკრძალვის უკანასკნელ დასკვნამდე მისვლა და არას ამბობს იგი საქართველოს „სახელმწიფოებრივ უფლების" შესახებ. — თუ საქართველო პოლიტიკური ავტონომიაა, ეს უფლებაც უნდა ჰქონდეს მას ისე, როგორც „კავკასიის ავტონომიას" ანიჭებს გაზეთი ხსენებულ უფლებას, ამ განუსაზღვრელობის გამო ნათლად არა სჩანს ის, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს, ერთის მხრივ, საქართველოს და კავკასიას და, მეორეს მხრივ, საქართველოსა და ქართულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ერებს. გაზეთი ამბობს: „ქართულ პარლამენტის დადგენილებანი (კანონები) სულიერ კულტურის საკითხების შესახებ, რა თქმა უნდა, არ გავრცელდება იმ არა ქართველებზე, რომელნიც შევლენ თავ-თავიანთ ნაციონალურ ორგანიზაციებში (ნაციონალ-კულტურულ ავტონომიებშიო).[8])

[7]) № 17.

[6]) ibid.

კეთილი. მაგრამ გაზეთი სდუმს სოციალ-ეკონომიურ კანონების შესახებ, სავალდებულონი იქნებიან იგინი ქართულ ტერიტორიაზე მცხოვრებ არა ქართველთათვის, თუ არა? ჩვენის აზრით ეს კანონები უნდა იყვნენ სავალდებულონი ავტონომიის ფარგალში მცხოვრებ ყველა მცხოვრებისთვის განურჩევლად ეროვნებისა. ვგონებთ, თუმცა დარწმუნებული არა ვართ, რომ გაზეთი ამასვე ფიქრობს და თუ არას ამბობს ამის შესახებ, იმიტომ, რომ თავისთავად ცხად აზრად ეჩვენება. მაგრამ ამ გვარ საკითხებში მეტი განსაზღვრულობაა საჭირო, მით უმეტესად, რომ ის, რასაც გაზეთი გვეუბნება საქართველოს ურთიერთობის შესახებ კავკასიასთან, ცოტა არ იყოს ეჭვს გვიბადავს იმის შესახებ, რომ გაზეთის აზრით საქართველოს ავტონომია ისეთივე სრულუფლებიანი არ არის, როგორიც არის კავკასიის ავტონომია. აი თუნდ ვალაპარაკოთ თვით „ჩვენი კვალი". გაზეთი ამბობს: „როგორც საქართველოს ქვეშევრდომნი, ისე სხვა კანტონების ქვეშევრდომნი იმავე დროს იქნებიან კავკასიის მოქალაქენიო".[9]) აქ რაღაც გაუგებრობაა, თუ საქართველოში დემოკრატიული ავტონომიაა, მისი მცხოვრებნიც საქართველოს მოქალაქენი არიან და არა ქვეშევრდომნი. შეიძლება ისინი კავკასიის მოქალაქენიც იყვნენ, თვით რუსეთის სახელმწიფოს მოქალაქენიც, ხოლო თავიანთ სამშობლოს მოქალაქეობაზე ისინი ხელს ვერ აიღებენ. მაგრამ „ჩვენ კვალს" დაუსაბუთებელი იერარქიული სისტემა აქვს წამოყენებული და აქედან წარმოსდგება ხსენებული გაურკვევლობა. გაზეთი ამბობს: „აქ მცხოვრებ ყველა ნაციათა პოლიტიკურ-მოქალაქობრივ თანასწორობის ერთგული და მტკიცე დარაჯი იქნება ამ თანასწორობაში დაინტერესებული კავკასიის საოლქო სეიმი და კავკასიის უმაღლესი სასამართლო"[10]). რატომ? —იკითხავთ. საოლქო სეიმს რატომ ანიჭებთ ამგვარ უფლებას და კავკასიის უმაღლესს სასამართლოს რატომ აარსებთ? ამ გვარ დაწესებულებათა არსებობა საჭიროა და აუცილებელი ფედერატიულ წყობილებაში. აი, მაგალითად, შვეიცარიის ფედერალური საბჭო და ფედერალური სასამართლო სინიდისიერად ასრულებენ „დარაჯობის ფუნქციებს", მაგრამ იქ ამ დაწესებულებათა უფლებანი განსაზღვრულია ფე-

[8]) ibid.

[9]) N 17.

[10]) N 17.

...სწავლებლის ადგილი განთავისუფლდა, რადგან ძველმა მასწავლებლებმა კ. თათარაშვილმა და ბ. მარკოზაშვილმა სამსახურს თავი დაანებეს. ქართულმა სექციამ 3 სექტემბერს დაასახელა 4 კანდიდატი. მასწავლებლების არჩევა დანიშნულია 6 სექტემბრისთვის.

◆ **კავ. ს.-სამეურნეო საზოგადოება.** კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ისევ ისე კუს ნაბიჯით მიჩანჩალებს თავის სიცოცხლეს. როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, საზოგადოების საბჭოს წევრები სხდომაზე ხალისით არ დაიარებიან, არა თუ სიცოცხლე შეიტანონ. 29 აგვისტოსთვის დანიშნული იყო სხდომა საბჭოსი, მაგრამ არ შესდგა, წევრები არ გამოცხადდენ. დღეს, 5 სექტემბრისთვისაც არის დანიშნული სხდომა, მაგრამ წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ არც დღეს შესდგება სხდომა. მდგომარე წელს საპერაციო ბიურომაც ვერ გაამართლა მოლოდინი.

◆ **ერობის შესახებ.** ერობის ტიპის შესახებ კამათი პირველმა სექციამ განაგრძო 3 სექტემბერსაც, ვ. ბ. გვაზავას თავმჯდომარეობით. ამ სალამოს უმრავლესობა წინააღმდეგი იყო გუბერნიაში სარაიონო ერობის შემოღებისა. ე. რ. ყიფიანი, ტიმოფეევი, ს. რ. ვახვახიშვილი, ალ. მდივანი, დემენტიევი, გ. გვაზავა, ალ. მ. არგუთინსკი და სხვანი იცავდნენ მცირე ერთეულის უპირატესობას, სხვათა შორის იმ მოსაზრებითაც, რომ მცირე ერთეულის დროს ხალხი თვითონ მიიღებს მონაწილეობას თავის ცხოვრების გაუმჯობესებაში. შემდეგ უნდა დაარსდეს სამაზრო ერობა, რომელიც ახელმძღვანელებს მცირე ერთეულს და ბოლოს საგუბერნიო, ასეთ ტიპის ერობის წინააღმდეგნი იყვნენ თავ. ი. აბხაზი და სხვებიც. დასასრულ სექციამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც საუმჯობესოდ სცნო სამი ტიპის ერობა—მცირე ერთეული, სამაზრო და საგუბერნიო, გამოურკვეველი დარჩა, თუ რა ტერიტორიისა უნდა იყოს მცირე ერთეული და რამდენს მცხოვრებს უნდა შეიცავდეს. ზოგი ამტკიცებდა, მცირე ერთეულად უნდა გადაკეთდნენ ეხლანდელი სოფლის საზოგადოება 1000—5000 მცხოვრებით, ზოგი კი საჭიროდ სცნობდა მცირე ერთეულში 15,000 მცხოვრები იყოს, რადგან მაშინ ექნება მხოლოდ ერობას იმდენი შემოსავალი, რომ დაწესებულებების ხარჯს გაუძლევს. ამაზე კამათს სექცია განაგრძობს შემდეგ სხდომაზე.

◆ **უცნაური საჩივარი.** ტფილ. საბჭოს ხმოსანმა და სასწავლებელთა კომისიის წევრმა მელიქ-ბეგლიაროვმა ახირებული საჩივარი შეიტანა კომისიაში პუშკინის სახელობის მეორე სასწავლებლის გამგისა და მასწავლებლის კაპანაკოვის შესახებ. კომისიას შეუკეთებია აღნიშნულ სასწავლებლის სადგომი. სახლის შეკეთება მოხდარა ყოფილის გამგის დაუკითხავად. კაპანაკოვს ამაზე შეკითხვის დროს ლაპარაკი მოსვლია მელიქ-ბეგლიაროვთან, რომლისთვისაც აღელვებულის ხმით კაპანაკოვისას შეუნიშნავს: „მე კარგად ვიცი, თქვენ როგორც იღწვით ქალაქის ინტერესებისთვის, ისიც ქალაქის ინტერესებისათვის სამსახურია, რომ თქვენი სახლი ქალაქის გამგეობაზე გაასაღეთო“. საჩივარი განუხილავს კომისიას და დაუდგენია, გადააყენოს სამსახურიდან კაპანაკოვისა. ქალაქის გამგეობისა და კომისიის შეერთებულმა სხდომამ განიხილა ეს დადგენილება 3 სექტემბრის სხდომაზე და დაადგინა, გაუქმდეს კომისიის დადგენილება და კაპანაკოვისას გამოეცხადოს მხოლოდ შენიშვნა აღნიშნულ მოქმედებისათვის.

◆ **ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სკოლის კურთხევა.** გუშინ შეცდომით ვწერდით, რომ ფილ. საზოგადოების სკოლის ახალ ბინის კურთხევა დანიშნულია 5 სექტემბრისთვისაო. კურთხევა მოხდება ხვალ, 6 სექტემბერს, დილის 12 ს. (საპიორის ქ., № 18).

◆ **უპასპორტოები.** 2 სექტემბერს პოლიციის მე-3 ნაწილში გაჩხრეკის დროს დააპატიმრეს 14 უპასპორტო კაცი.

◆ გორიდგომის არუმანოვის მკვლელობის განზრახვისთვის დაუპატიმრებიათ ვაჩთან თინიკაანცი, გიორგი ძამაშვილი, გიორგი განდელაკი და ალექსანდრე ვართანოვი.

◆ მაიერის ბაღთან ტფ. მაზრის სამზღვარზე რიხარდის საიჯარო კუნძულზე პოლიციამ ნახა გვამი 20 წლის ემაწვილისა, რომელსაც ყელი ჰქონდა გამოჭრილი. ვინ არის მოკლული არ იციან.

◆ 3 სექტემბერს სადამოთი რუსის ქუჩაზე შაიმმედოვის დუქანში ჩხუბის დროს გიორგი დომიძემ დანით დასჭრა იუსუფ შანახინ-ოღლი, ტიგრან მარკოზოვი და გარეგინ თსიპოვი. დაჭრილები მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, დომიძე დააპატიმრეს.

◆ მუშამ ირაკლი ქლენტმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ მას 3 სექტემბერს თავს დაეცა რამდენიმე კაცი მალაკნის ქუჩაზე და 25 მან. მოსთხოვა. მერე უცნობებმა სცემეს, გაჩხრიკეს და რაკი ვერაფერი აღმოუჩინეს, თავი გაანებეს. პოლიციამ ეჭვით დააპატიმრა კონსტანტინე ხუნდაძე და ესტატე როხროხოვი.

◆ 5 სექტემბერს თეოდოსიის ქუჩაზე მცხოვრებმა, ახალციხის მცხოვრებმა ხელობით მეჩექმემ აპრიამ თათოევმა თავი მოიწამლა. გადაცვალებულს ბარათი დაუტოვებია—ჩემ მოკვლაში ბრალი არავის დასდოთო.

## ახალი საზოგადოება

ტფილისში არსდება ახალი საზოგადოება—ქართველ მომღერალ-მგალობელთა საზოგადოება „სანთური“. საზოგადოების დანიშნულებაა ხალხში ნამდვილ მუსიკალურ გემოვნების განვითარება. თვით საზოგადოებას ეყოლება მომღერალ-მგალობელთა გუნდი, რომელიც შეისწავლის საუკეთესო მუსიკალურ ნაწარმოებს ქართულისა, რუსულისა, აღმოსავლეთისა და ევროპისას, შეისწავლის ქართულ ხალხურ სიმღერებს და საეკლესიო საგალობლებს და დრო-გამოშვებით გამართავს კონცერტებსა და სადამოებს. საზოგადოებას ექმნება ფილიალური განყოფილებანი საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში და ყველგან იქნება დაარსებული გუნდი მომღერალ-მგალობელთა. საზოგადოების მთავარი გამგეობა, რომელიც იქნება ტფილისში, წელიწადში ორჯელ, სააღდგომოთა და საშობაოთ, გამართავს სამუსიკო დღესასწაულებს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ფილიალურ განყოფილებათა გუნდები.

საზოგადოების მთავარი გამგეობა ყოველ წლივ გადასდებს ფულს იმათთვის ვინც წარმოადგენს საუკეთესო სამუსიკო ნაწარმოებს ქართულ ხალხურ სიმღერების შესახებ.

საწევრო გადასახადი, წესდების თანახმად, წლიურად ერთი მანეთი იქნება.

როგორცა ჰხედავთ, საზოგადოებას მეტად სიმპატიური მიზანი აქვს დასახული—უნდა ემსახუროს ეროვნულ მუსიკას, წააქეზოს და წაახალისოს მუსიკის მოყვარულნი და სპეციალისტნი, შეასწავლოს და შეათვისებინოს როგორც ქართული ისე ევროპიულ-აზიური ნაწარმოებნი. მომღერალ-მგალობელთა გუნდების დაარსებით „სანთური“ დიდს სამსახურს გაუწევს ყველა იმას, ვისაც სწყურია შეისწავლოს ან მოისმინოს ქართული სიმღერა-გალობა.

თუ საზოგადოებამ მოახერხა მარტო გუნდების მოწყობა ტფილისსა და სხვა ადგილებში, ესეც დიდი საქმე იქნება, ამითაც დიდს სამსახურს გაუწევს მუსიკის აყვავებას. უსურვებთ ნაყოფიერ მუშაობას. **ს.**

## მოწერილი ამბები

**გურია.** ბევრ სხვა უბედურებასთან წელს გურულებს მოუსავლიანობაც თავს დაატყდათ. გვალვამ ბოლო მოუღო მოსავალს. გურიაში ჯერ არ ახსოვთ ამნაირი ზაფხული. ასე გასინჯეთ, დაშრა წყლები და ჭები. გვალვისაგან ხეხილის ხეებს ფოთოლი გასცვივდა და ბაღები სრულიად გახმა. საქონელი, საკვებს მოკლებული, ძალზე გახდა და მარტო ჩონჩხს წარმოადგენს. წელს, საზოგადოდ, სიმინდის მოსავალსაც ცუდი პირი უჩანს, ზოგ ადგილას სულ ძირიანად გადახმა. ღვინის მოსავალიც ნაკლებია. გოლვამ „იზაბელასაც“ ძალიან აწყინა. იზაბელის ღვინიდან გურიაში ხდიდნენ საუკეთესო არაყს და ხელ მისაცემ ფასად ჰყიდდნენ, წელს კი ამას გურულები მოკლებულნი იქნებიან.

გურიაში ამ ბოლო დროს დაიწყეს ხეხილის გაშენება, რგვენ ევროპიულ ჯიშის ვაშლს და მსხალს. შესანიშნავად ხარობს გურიაში „მაგი ვაშლი“, როგორც აქ უწოდებენ, ან ნაცრის ფერ ფრანგული რანეტი, რომელსაც კარგი გასავალი აქვს: ფუთი იყიდება 1 მ.—3 მ., მაგრამ წელს ხილის მოსავალსაც სამწუხაროდ ცუდი პირი უჩანს. ბოსტნეულობას ნუღარ იკითხავთ; წვნილი და კიტრი აღარ იშოვებოდა.

აი, ამ მდგომარეობაშია წელს გურია! **ვ. დ.—ძე.**

—

**ლეჩხუმ-სვანეთი.** ნამდვილი ღვთის რისხვა ტრიალებს წელს ლეჩხუმში. მთელი ზაფხულის გამუდმებულის გვალვით ისე გადაიწვა ყველაფერი, რომ მტერიც კი აცრემლდება ამ სანახავით. სადაც საუკეთესო მოსავლიანი მიწებია, იქ დღეს უტაროდ ჩამოხმარ-ჩაფშვნილ სიმინდის ჩალას ძირიანად თხრიან. საზოგადოდ აქ, ნამარიობისგან თითქმის სამაოდ აგრილდება ხოლმე, მაგრამ წელს ნამარიობებსაც ისეთი სიცხეა, როგორიც იყო იმერეთში. საზარელი სანახავია ხალხი: მთელი სარჩო-საბადებელის დამკარგველი სტირის, გოდებს და ცრემლით შესჩივის ერთმანეთს; „იმდენი ვსცოდეთ და გაგვწყრეთ ღმერთი, რომ სამაგიეროს გვიხდის აღბადაო“. ეხლავე შეხვდებით სრულიად სარჩო გამოლეულ ოჯახებს, რომელნიც გვალვისაგან მოწამლულ-დამატლინებულ ხილით იკვებებიან, რაც მრავალ სენს აჩენს ხალხში. თუ დღეს ასეა, რაღა იქნება შუა ზამთარში და გაზაფხულზე!

ასეთავე დღე ადგია სვანეთს, იქაც განადგურდა გვალვისაგან ყოველი ჭირნახული; იქაც მოუსპო წელს ხალხს სარჩო-საბადებელი. გლეხი თავის დამშეულის მსგავს უბედურებაში სთვლის შიმშილის დამშევს. წელს, საქონლის საკვების მოუსავლიანობაც არის.

ხალხი ასეთ მდგომარეობაშია, მკითხველო, და აქ კი გასაოცარი ხმები დადის: აქაურ მაზრის უფროსს, მოხსენება გაუგზავნია გუბერნიის უფროსის შეკითხვაზე, ვითომ აქ, ლეჩხუმ-სვანეთში, კარგი მოსავალიაო. თუ ეს მართალია, გაკვირვების მეტი არა დაგვრჩენია.

უკვე გვქონდა გაზ. „დროება“-ში ნათქვამი, რომ წელს მრავალი მოგზაურ-მთარაკე ესტუმრა საზოგადოდ სვანეთს და განსაკუთრებით მუაშის სამკურნალო წყლებს. უმრავლესობა სვანეთის ბუნების სიმდიდრე-სიმშვენიერის ხილვით აღტაცებული დაბრუნდა. მაგრამ მუაშის წყლებზე ერთი უბედურება მოხდა. მოგზაურთა შორის იყო მღვდელი დ. მახარობლიძე თავის ერთადერთის ვაჟით (გიმნაზიის მე-5 კლასის მოსწავლეა). ნიტებზე სანადიროდ წასულიყვნენ ვარაა გარდაფხაძის 16 წლის ვაჟი და [illegible] გარდაფხაძეს [illegible] ნია და [illegible], რომელმაც იქვე სული დალია.

**ლეჯანელი ბანოვანი.**

—

**ს. ერედვი** (გორის მაზრა). ძნელი წარმოსადგენია ის დუხჭირი ცხოვრება, რომელშიაც იმყოფება აქაური გლეხ-კაცობა. ზედი-ზედ მოყოლილ მოუსავლიანობით, გადასახადებით, ზოგ-ზოგთა თარეშით უკანასკნელი ტყავი გასძვრა გლეხს. ამას ზედ ერთვის უმეცრება, ერთმანეთის გაუტანლობა, სხვა და სხვა ცრუმორწმუნოება. გახდება ვინმე ავად ოჯახში, მაშინვე კაცს აფრენენ მკითხავთან. იგიც აქეთ-იქეთ სალოცავებზე უშვერს ხელს. გლეხი შიდის სალოცავად ზვარაკით და ხარჯსა სწევს. სოფლის წურბელა-მოვახშეებიც გულმოდგინებურად დათარეშობენ. იშვიათი იქნება გლეხი, რომ მევახშის ვალი არ ემართოს. ეს ვაჟბატონები ათასნაირ ხრიკს ხმარობენ, რომ რაც შეიძლება მაგრა გახლართონ მახეში ყველა, ვინც კი მათ სესხსა სთხოვს. ჯერ ინაზებიან, სესხზე უარს ამბობენ. გლეხს ფეხი სჭირია. სარგებელს უმატებს. აძლევს თამასუქს დანიშნულ დრომდე. ამ ხნის განმავლობაში გლეხი ვალს ვერ იხდის და იძულებული ხდება მიწაზე ან ვენახზე ხელი აიღოს. ან და მოვალე სარგებლის სარგებელს ართმევს, და ორ სამ წელიწადში იმდენად იზრდება ვალი, რომ გლეხი ვეღარ იხდის.

როგორც წინად ვწერდი, გვალვამ ჭირნახული მთლად გაავერანა. იმედდაკარგულ გლეხს თვალი სიმინდისკენ ეჭირა, გარს ევლებოდა მას, მისი იმედი ჰქონდა, მაგრამ ეს უკანასკნელი იმედიც გაუცრუვდა—გვალვამ იგიც მოახმო. არც საქონლის გამოსაკვები საზრდო მოვიდა წელს საკმაო. სწორედ რომ ორ წყალ შუაა გლეხკაცი. თავი არჩინოს, თუ საქონელი არჩინოს? გაჰყიდოს—მერე, რით არჩინოს ოჯახი? არ გაჰყიდოს—რა აჭამოს, როდესაც თვითონაც მალე დუკმა პური მოენატრება!

თავისუფლების დროს აქ მოჰკლეს მთავარი—ინდუაშვილი, ერთ აქაურ „გავლენიან“ ვაჟბატონის მეოხებით, რომლისაც ამ მთავარს სამი მანეთი ემართა. ამ ვაჟბატონმა მას ჯაშუშობა დასწამა, მირეკა „რაზმელები“, ზოგიერ-

---

ფედერალურ კონსტიტუციით. თქვენ კი ფედერაციას არც კი ახსენებთ და ერთ პოლიტიკურ ავტონომიას სრულიად უკანონოდ უქვემდებარებთ მეორეს. მართალია, ერთ ადგილას „ჩვენი კვალი“ ამბობს: „ჩვენ ვითხოვთ კავკასიის კუთხეების კანტონალურ თუ შტატებრივ ორგანიზაციას, როცა ცენტრალურ სეიმიდგან, თუ პარლამენტიდგან ნაწილი პოლიტიკურ მოქალაქობრივ და სისხლის სამართლის უფლებრივ კანონდება გადაეცემის შემადგენელ ნაწილებს—კანტონებსო[11]). აქ თითქოს ახალი ჰანგია. თითქოს ფედერატიულ წყობილებაზეა საუბარი. აქ ვეტყობულობთ, რომ საქართველო თავის ავტონომიის უფლებას ღებულობს სხვა უფრო დიდ ავტონომიურ ერთეულისაგან — კავკასიის ცენტრალურ სეიმისაგან. მაგრამ გაზეთი, თითქოს შეშინებულია, ფედერალისტობა არ დამწამონო, და ამბობს აქვე: „მკითხველმა არ უნდა იფიქროს, ვითომ ჩვენი გეგმით კავკასია უნდა შეადგენდეს ამერიკას, შვეიცარიის, ავსტრალიის უბრალო კოპიასო“[12]). სამწუხაროდ, „ჩვენი კვალი“ თავის საკუთარ გეგმას ვერ იძლევა და კმაყოფილდება მხოლოდ შემდეგის დასკვნით; „ნაციონალურ—კულტურული ავტონომია და კანტონალური მოწყობილება კავკასიაში საუკეთესოდ სწყვეტს ნაციონალურ საკითხსაო“[13]). ასე რომ დარჩა ბოლომდე გამოურკვეველი ურთი-ერთობა როგორც კულტურულ ავტონომიებისა ტერიტორიალურ ავტონომიებთან, ისე ყველა ამ ავტონომიების ურთი-ერთობა კავკასიის ცენტრალურ ორგანოსთან.

მაგრამ, უნდა ვსთქვათ, რომ „ჩვენი კვალის“ დამსახურება ეროვნულ საკითხის გარკვევაში მაინც დიდია. მან ს.-დემოკრატიულ პრესსაში პირველმა წამოაყენა გაბედულად საკითხი პოლიტიკურ დეცენტრალიზაციის საჭიროების შესახებ. ვისაც გათვალისწინებული აქვს ის შეუწყნარებელი ატმოსფერა, რომელიც გამეფებული იყო აქამდე ს.-დემოკრატ ცენტრალისტთა წრეებში, ვინც მხედველობაში მიიღებს იმ თითქოს უნაყოფოდ დახარჯულ ენერგიას, რომელსაც ხარჯავდნენ ს.-დემოკრატების მოწინააღმდეგენი ამ საგნის ჯეროვანად შესწავლისათვის, მისთვის ცხადი იქნება, რომ „ჩვენი კვალის“ გალაშქრება ცენტრალიზმის წინააღმდეგ დიდ საზოგადოებრივ დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს ამ ორგანოს, ჩვენ მხოლოდ იმას ვნანობთ, რომ „ჩვენი კვალის“ გამოსვლა ასე გვიან მოხდა, რომ მას გაცილებით მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლო იმ ხანაში, როდესაც ჩვენი ხალხის და საზოგადოების აზრი უფრო მგრძნობიარე იყო და როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრების მაჯის ცემაც უფრო თვალსაჩინო იყო.

მაგრამ თვით „ჩვენი კვალი“ სამწუხაროდ სხვა აზრისაა ამ საგნის შესახებ, იგი ამბობს: „დღესაც თუ მაგალითად მოხდებოდა მთელი რეჟიმის რესტავრაცია და აფეთქდებოდა სახალხო მოძრაობა, ჩვენ უმალვე თავს გავანებებდით დაწყებულ საქმეს, იქით გადავდებდით ყოველგვარ უთანხმოებას ნაციონალურ საკითხში და ერთსულოვნად შევუდგებოდით, როგორც ადგილობრივ, ისე მთელ რუსეთის ამხანაგებთანაო. მაგრამ ამასთან გაზეთი უმატებს: „დღეს სწორედ ისეთი მომენტია, როცა... უნდა აღინიშნოს ძველი შეცდომები, შეივსოს ძველი დეფექტები, უნდა შემუშავდეს სრული და სწორე პროგრამა და ტაქტიკაო“... მაშასადამე, წინათ შეცდომებიც ყოფილა, დეფექტებიც, სრული და სწორე პროგრამმა-ტაქტიკაც არ ჰქონიათ, მიუხედავად ამისა, „ჩვენი კვალის“ მესვეურებს არ ეკარგებათ სურვილი და ჟინი ცენტრალისტ ამხანაგებთან ერთად უსწორ-მასწორო გზით ხელმეორედ სიარულისა. ეგეც გემოვნების საქმეა და ჩვენც ამ გარემოებას გაკვრით აღვნიშნავთ მხოლოდ.

ასეთია ხანმოკლე, მაგრამ ფაქტებითა და აზრებით საყურადღებო ეპოპეია ავტონომიურ მოძრაობისა საქართველოში. აქ უნდა შევჩერებულიყავით, მაგრამ ვერ შევჩერდით. ახლოხანში მარკსისტების ორგანოში, „ჩანგში“ წავიკითხეთ ბ-ნ ლეოს წერილი ერობის შესახებ. ამ წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ჩვენი საერობო პროგრამის დედა-აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ერობას არა აქვს განსაზღვრული სფერო. არ არსებობს ერის ცხოვრებაში არც ერთი მხარე, რომელსაც არ უნდა სწვდებოდეს ერობის კომპეტენცია. ერობა ერის თვითმმართველობაა, და ერის ცხოვრების ყველა მხარეებს თვით ერი, მისი ორგანოები—საერობო ერთეულები უნდა განაგებდნენ. საერობო ერთეულების ხელში უნდა იყოს არა მარტო ეკონომიურ—კულტურული საკითხები, არამედ ყველა პოლიტიკური საკითხებიც. საერობო ერთეულების უფლება სამეურნეო საკითხებს გარდა, უნდა სწვდებოდეს კანონმდებლობას, მთელ ადმინისტრაციას, სასამართლოს... საერობო ერთეულების ხელში უნდა იყოს საკანონმდებლო ძალაც“...[14]) და სხვა.

ჩვენს მწერლობაში ბევრ რამეს უნდა იყო ჩვეული, მაგრამ, მართალი გითხრათ, ამ სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ცოტას გასწყდა პირჯვარი არ გადავიწერე, ისე გამაოცა ყოველივე ზემოდ ნათქვამმა. ს.-დემოკრატიის ბრძოლა სოც.-ფედერალისტებთან (პოლიტიკურ საკითხებში) იმაზე იყო დაფუძნებული, რომ პირველნი უარჰყოფდნენ პოლიტიკურ დეცენტრალიზაციას, მეორენი-კი ამ დეცენტრალიზაციის მომხრენი იყვნენ. ეხლა ჩვენ საკმარისი მასალა გვიპყრავს ხელთ და ვიცით, რომ „ავტონომიურ“ მოძრაობის მეორე ხანაში ცენტრალისტ მარქსისტები კულტურულ ავტონომიის ფარგალს არ გადასცილებიან. ლ. დ—მა გაჰბედა და შესდგა პოლიტიკურ ავტონომიის ნიადაგზე და მისმა ამხანაგებმა ამ „თავხედობისათვის“ ჯვარს აცვეს იგი. დღეს კი ბ-ნ ლეოს ყოველივე ეს დაჰვიწყებია და გვარწმუნებს, რომ „საერობო ერთეულების ხელში უნდა იყოს არა მარტო ეკონომიურ-კულტურული საკითხები, არამედ ყველა პოლიტიკური საკითხებიცო“. დღეს ბ-ნი ლეო პოლიტიკურ ავტონომიას აღიარებს. „მაქსიმალიზმის“ ჟინით ისეა იგი გატაცებული, რომ ვერც იმას ხედავს, რომ ამახინჯებს სოციალდემოკრატიულ პარტიის პროგრამას, ვერც იმას, რომ ერთმანეთში ურევს ადგილობრივ თვით-მმართველობას და პოლიტიკურ თვით-მმართველობას.

ყოველსავე ამას ჩვენ სერიოზულ ყურადღებას არ მივაქცევდით, რომ ეს მოვლენაც ფრიად დამახასიათებელი არა ყოფილიყო სოციალ-დემოკრატიის დღევანდელ უნიადაგობისა და რყევისა. ერთის კალმის გასმით, ერთ გაზეთის ნომერში, ანგრევენ იმ შენობას, რომელიც წვალებით და ვაი-ვუით უშენებიათ 5—6 წლის განმავლობაში. კანონმდებლობაც გვინდაო და სამოქალაქო და სისხლის სამართალიცაო. ყველა პოლიტიკური უფლებაც ხელში უნდა გვეპყრასო. თუ ყოველივე ეს დაიწერა მხოლოდ იმიტომ, რომ ნიშანში „დროება“ ამოეღო, რომელიც დღეს მხარს უჭერს დემოკრატიულ ერობის შემოღებას, სირცხვილია, რადგან მოპირდაპირეს იმგვარ პრინციპებით უნდა ეომო, რომელნიც გწამს, საკუთარი კანონდება კი თქვენ არასოდეს არ გწამდათ. ხოლო თუ მართლა გამოიცვალეთ აზრი და დღეს გამოდიხართ ავტონომისტად, ამ შემთხვევაში დაასაბუთეთ მაინც თქვენი აზრი და რწმენა, რომ „შანტაჟისტობად“ არავინ ჩამოგართვათ ამგვარი მეტამორფოზა.

—

მაშ ასე, ფაქტის უარყოფა შეუძლებელია. ქართველი სოციალ-დემოკრატია დაიძრა ძველ პოზიციიდან ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაში. ანი სცდილობს არ უღალატოს ოლქობრივ თვით-მმართველობას, მაგრამ ამ თვით-მმართველობას ავტონომიის ზოგიერთ ფუნქციებს ანიჭებს და თანაც თვალებს უბრიალებს კულტურულ ავტონომიას. ჩხენკელი ოლქობრივ თვით-მმართველობას ისეთის შიშით და ზიზღით უყურებს, როგორც ფაუსტი ეშმაკს, პირველად რომ გამოეცხადება იგი. სამაგიეროდ, ჩხენკელს თამამად გაუყრია ხელი სათაყვანებლად მომხდარ კულტურულ-ავტონომიისთვის და ავსტრიის დედაქალაქში პლანებს სთხზავს იმის შესახებ, როგორ დაარსდება ტფილისში პარლამენტი, როგორ მიენიჭება მას უზენაესი უფლებები სწავლა-განათლების და კულტის დარგში. ლ. დ-ლი გაბედულად ასახელებს ფედერალიზმს. და ყველა ამის დასაგვირგვინებლად ლეო გვეფიცება, რომ ეს-დეკების პროგრამა მინიმუმში იმისთანა ერობა მოიპოვება, რომელსაც მინიჭებული აქვს ყველა პოლიტიკური უფლებაო.

აი, აჭრელებული სურათი მიმართულებათა არევ-დარევისა და გადახლართვისა და უტყუარი სარკე სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დღევანდელ თეორიულ რყევისა და დაუდგრომლობისა. ყოველ ამ მასალით და აგრეთვე სხვა ახალ მასალითაც, რომელიც ხელში გვეპყრა, გვინდოდა გვესარგებლა და გამოგვეთქვა ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს ავტონომიის პრაქტიკულ გეგმის შესახებ. მაგრამ, მოფიქრების შემდეგ, ამ საქმის გადადება ვამჯობინეთ. სოციალ-დემოკრატია კი **ვალდებულია** დაამთავროს ეროვნულ პრობლემის გადასინჯვის საქმე. მისი გაჩერება შუა გზაზე შეუძლებელია. რაკი აზრი ჩვეულ ადგილიდან დაიძრა, თავის მოძრაობაში იგი მივა ბოლო დასკვნამდე. და ბოლო დასკვნა კი უნდა იყოს ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიის აღიარება ს.-დემოკრატიულ პარტიის ყველა ფრაქციის მიერ, ამ ავტონომიის ნიადაგზე მათი შეთანხმება ს.-ფედერალისტებთან და სხვა

---

11) N 16.
12) N 16.
13) N 16.
14) „ჩანგი“ N 32, 1909.

თა აქაურიც მიიშველიას და ისე აწამა, რომ ამის მსგავსი არაფერი მომხდარა ნეტარ-ხსენებულ ინკვიზიციის დროსაც-კი...

კარგი კიდევ, რომ აქაური მღვდელი ა. ღომაური მაინც იქცევა რიგიანად. აქამდის ამ მღვდელს თითო კომლი აძლევდა დრამად ერთ კოდ პურს, ერთ მსუქან ქათამს და ერთ კარგ მარხილს შეშას. ეხლა კი ამ მღვდელმა შეშას და ქათამს სულ თავი დაანება, პურსაც შეძლებისა და გვარად ახდევინებს—შეძლებულს ნახევარ კოდს, საშუალო შეძლებულს ორ ან სამ ჩანახს, ღარიბს-კი, როგორც თვითონ გლეხებმა გადმომცეს, სულ ანთავისუფლებს.

**ს. გძელიშვილი.**

# სპარსეთი

**რეაქციონერების საიდუმლო საზოგადოება.**

თეირანში რეაქციონერებს დაუარსებინათ საიდუმლო საზოგადოება. მის მეთაურად ყოფილა ამინ-დოვლეს ვაჟიშვილი ცნობილი სახელმწიფო მოღვაწისა და პირველ მინისტრად ნამყოფის ამინ-დოვლესი. სპარსეთის ახალმა მთავრობამ, შეიტყო თუ არა საზოგადოების არსებობა, მაშინვე დაატუსაღებინა 6 გამოჩენილი წევრი ამ საზოგადოებისა. თითონ ამინ-დოვლე-კი დაიმალა.

ამას წინად თეირანში ცეცხლი წაეკიდა დიდ ბაზარს, 50 მაღაზიაზე მეტი დაიწვა და მილიონზე მეტი ზარალი მიეცა ვაჭრებს. ამბობენ, რომ ესეც რეაქციონერების საქმე იყოო („კავკ.“)

**ზარაფხანის უფროსი.**

ყველა ის რეაქციონერები, რომლებიც ნამაჰართან ერთად რუსის საელჩოში იხიზნენ ზენტში, მამედალის გაჰყვნენ რუსეთში, გარდა ზარაფხანის უფროსად ნამყოფის ჰაჯი მამედ-იზმაელისა, რომელსაც სპარსეთის მთავრობამ არ მისცა წასვლის ნება, სანამ იგი ზარაფხანის ანგარიშს არ ჩააბარებს. ამ საქმის გასარჩევად დანიშნულია განსაკუთრებული კომისია ინგლისის და რუსეთის ბანკების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ანგარიშისა და საქმეების ჩაბარების შემდეგ, ჰაჯი-მამედ-ისმაილს განთავისუფლებენ, მაგრამ სპარსეთიდან-კი განდევნიან.

**ახალი კომისია.**

დროებითმა მეჯლისმა დააარსა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალება სპარსეთის ძველი წესების მოსპობა, მაგალითად ხანობისა და სხვა.

ის მოხელეები, რომლებიც პროტექციით მიუღიათ, სულ დათხოვნილ იქნებიან და მათ მაგივრად ახალ ღირსეულ და განათლებულ კაცებს დაჰნიშნენ.

**აღმოსავლეთის გაღვიძება.**

„კავკაზი“-ს თეირანელი კორესპონდენტი ირწმუნება, რომ სპარსეთში დიდი მოძრაობაა რუსებისა და საზოგადოდ ევროპიელების წინააღმდეგო. შაჰის აღმზრდელი რუსის აფიცერი სმირნოვი რომ გადააყენეს, სპარსელები მოურიდებლად აცხადებდნენ თურმე ყველგან, რომ „ეხლა ყველა უცხოელის ადგილას სპარსელები უნდა ჩავაყენოთო“.

„მაინც სპარსეთში დიდი მოძრაობა დაიწყო არა თუ მარტო რუსებისა, საზოგადოდ ევროპიელების წინააღმდეგ. ერთმა ორიენტალისტმა რომელმაც არა ერთი წელიწადი მოანდომა აღმოსავლეთის შესწავლას, მითხრა ამ დღეებში: „აღმოსავლეთში იწყება სერიოზული მოძრაობა ევროპიელთა წინააღმდეგ. არ გეგონოთ, რომ აქ ევროპიელებს დაეცნენ. არა, ეგ ტყუილი შიშია,—ჩვენ უფრო მრისხანე საფრთხე მოგველის. გარწმუნებთ, რომ ამ ჟამად დიდი სოციალური მოძრაობაა სპარსეთში და უფრო მეტი ინდოეთში. აღმოსავლეთი იღვიძებს და უფრო მეტის სწრაფის ნაბიჯითაც მიდის წინ, სანამ ეს ჰგონიათ იმათ, ვინც თავის კაბინეტიდან ადევნებენ თვალს აღმოსავლეთის საქმეებს. აბა წადით აქაურ ხალხში, ისე კარგად აქვს შეგნებული ზოგიერთი სოციალური ურთი-ერთობა, რომ ხან და ხან გიკვირსთ: საიდან შეიძინა ეს შეგნებაო? სპარსეთში ამ ჟამად ისევ დაიწყო ძლიერი პროპაგანდა ბაბიდების მოძღვრებისა და სოციალიზმისა, რომელიც აქ კავკასიელმა რევოლიუციონერებმა შემოიტანეს. ამას გარდა, ქადაგებენ პანისლამიზმსაც. ამ პანისლამიზმს ავრცელებენ უმთავრესად ოსმალოები, რომლებიც აქაურ საზოგადოების ყოველ წრეში შედიან და ყველგან შოვობენ მიმდევრებს. თუმცა უცნაურად გეჩვენებათ, მაინც გეტყვით, რომ აქ ხშირად ერთდება პანისლამიზმი და სოციალიზმი. ამ ორსავე მოძღვრებას ხშირად მეტად განათლებული და ევროპის კარგი მცოდნეები ქადაგებენ აქა, მათ კარგად იციან ევროპის სუსტი მხარეები და მარჯვე დროს კარგადაც გამოიყენებენ ამ ცოდნას“.

კორესპონდენტი თავის მხრივ დასძენს: „სრულიად ვეთანხმები მეცნიერის აზრს. მართლაც და თუ ოსმალეთმა, რომელიც ჩვენში მარტო ბაში-ბუზუკებით ეგონათ დასახლებული, უცებ უჩინრად გაიღვიძა, რა საკვირველი იქნება, რომ მალე მთელი აღმოსავლეთიც ფეხზე წამოდგეს და თავის ბატონს ევროპას მონასავით აღარ დაემორჩილოს“.

**სპარსულ გაზეთის წერილი რუსეთის წინააღმდეგ.**

სპარსულ გაზ. „სურეიში“ („ზარია“), რომელსაც სტამბოლში სცემს იქაურ სპარსელთა მდიდარი და გავლენიანი ენჯუმენი, მრისხანე წერილი დაუწერია რუსეთის წინააღმდეგ. „სურეიში“ სწერს თურმე:

„სპარსეთის ერი ძლიერი და უკვდავი ერია. მან ათას ისტორიულ განსაცდელს გაუძლო და დღემდე შეინარჩუნა დამოუკიდებლობა და მთლიანობა; იგი ვერ დაამხეს ასეთმა დიდებულმა მეომრებმა, როგორც იყვნენ ალექსანდრე მაკედონელი, არაბები და მონღოლები. როგორც სუზაში აღმოჩენილმა ძველმა სურათებმა დაამტკიცა, სპარსეთის ერი არის დამაარსებელი უძველეს მსოფლიო კულტურისა და წინაპარი ყველა არიულ ერებისა. იგი იყო მოწამე ძველ მსოფლიო სახელმწიფოების—ეგვიპტესი, ქალდეისა, ასურეთისა, საბერძნეთისა, კართაგენისა და რომის დამხობისა და თითონ კი შეურყეველი დარჩა. სპარსეთის ერმა 150 წლის წინად დიდებულ ნადირ-შაჰის ბაირაღ ქვეშ უკუ აქცია რუს ხელმწიფეები პეტრე დიდი და ეკატერინე, ოსმალეთის სულთნები და ავღანისტანის ემირები, თავის ძლევა მოსილი ჯარი შეიყვანა შუაგულ ინდოეთში და დაიპყრო მთელი თურქესტანი, კავკასია და ჩრდილოეთ არაბეთი. დასასრულ, ეს ის ერია, რომელიც აგერ უკვე ოთხს წელიწადს იბრძვის თავისუფლებისთვის და ამ ფიცხელ ბრძოლას უკვე შესწირა, 100,000 მეტი მსხვერპლი. მთელის ქვეყნიერობის გაზეთებმა შეამოწმეს, რომ 74 სპარსელი ქალი, ჯარის კაცების ტანისამოსით, იბრძოდა თავრიზის სიმაგრეებში და რომ ჟანა დარკები მარტო თავისუფლების მოყვარე საფრანგეთში როდი ჩნდებიან.

რუსეთი ისე უყურებს სპარსეთს, როგორც გემრიელ ლუკმას და გულით სწადიან, რომ სპარსეთში აინაზღაუროს ის ზარალი, რომელიც მიაყენა იაპონიასთან ომმა. მაგრამ რუსეთმა ეს აღარ იცის, რომ სპარსეთში ისეთს ზარალს ჰნახავს, რომ თავის დღეში წელში ველარ გასწორდეს... რუსეთის მთავრობას უნდა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს სპარსეთის ეხლანდელი უთანხმოება, როდესაც პირიქით თითონ სპარსეთის ერი, გაერთიანებული მოდგმით, სარწმუნოებით და ენით უნდა ელოდეს მარჯვე შემთხვევას, რომ ისარგებლოს რუსეთის იმპერიის ერთა ნაირ-ნაირობით. თუ რუსეთი არ მოიშლის სპარსეთის საქმეებში ჩარევას, ჩვენ მზადა ვართ დავიცვათ ჩვენი სახლი, რომლითაც უკვე სამი ათასი წელიწადი ვმფლობელობთ, და ჩვენი უფლება ამ სახლზე შემოწმებულია ყველა ისტორიკოსისგან, ჰეროდოტედან დაწყებული... მაგრამ თუ როგორმე მოხდა და ჩვენი ქვეყანა რუსის მოხელეებისა, ბოქაულებისა და უფროსების ხელში ჩავარდა, მაშინ ჩვენ ჩვენის ხელით დავწვავთ სპარსეთის ქალაქებსა, სოფლებსა და ტყეებს, მთელი სპარსეთი გადიქცევა ერთ უზარმაზარ უდაბნოდ და რუსეთს შეემატება კიდევ ერთი უდაბური ციმბირი“.

ეს წერილი მოყვანილია „ნოვ. ვრემია“-ს თეირანელ კორესპონდენტის წერილში. კორესპონდენტი, რასა თქმა უნდა, სასაცილოდ იგდებს სპარსელების ასეთს „თავხედობასა და კადნიერებას“.

# ოსმალეთის ამბები

**აბდულ-ჰამიდის მემუარები.**

აბდულ-ჰამიდი შეუდგა თავის მეფობის დაწვრილებით აღწერას.

**ადანის საქმეების გამო.**

ამ დღეებში გაზეთებში დაბეჭდილი იყო ცნობა, ვითომ ოსმალეთის მთავრობამ გააუქმა ადანას სამხედრო სასამართლოს განაჩენები, რომლითაც რამდენიმე სომეხს სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი. ამის თაობაზე „ბაკუ“-ს ატყობინებენ სტამბოლიდან: „ის განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შევიდნენ შინაგან საქმეთა იუსტიციის და მიწად-მოქმედების მინისტრები, როდი შესცვლის ადანის სამხედრო სასამართლოს განაჩენებს, რადგან მათი შეცვლა შეუძლებელია. კომისია მხოლოდ გამოიძიებს იმ დამნაშავეთა საქმეს, რომლებიც, როგორც სომხები ირწმუნებიან, თავისუფლად დადიან და სომხებსაც სასამართლო ხმას არა სცემს.

**ოსმალ-სომეხთა ურთიერთობა**

ვანიდან ატყობინებენ „თხიზან“-ს, „ერთობის და პროგრესის“ კომიტეტმა ანატოლიაში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ნეჯიბ-ბეი, რომელმაც ახალგაზდა ოსმალთა ადგილობრივი კომიტეტები უნდა გასწმინდოს საეჭვო წევრებისგან. ნეჯიბ-ბეი ამ ჟამად იმყოფება არზრუმში, საიდანაც მალე ვანში წავა. ურთიერთობა სომხის მოღვაწეებსა და ახალგაზდა ოსმალელ აფიცრებს-შორის სწრაფად უმჯობესდება და შესაძლებელი ხდება მათი საერთო სოლიდარული შრომა.

# რუსეთი

**განკარგულება.** „კასპი“ პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: პრემიერ-მინისტრმა სტოლიპინმა საგუბერნიო სტამბებს ბრძანება დაუგზავნა, დასაბეჭდად ნუ მიიღებთ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ლიტერატურასაო.

**ბეჭდვითი სიტყვის კანონ-პროექტი.** ბეჭდვითი სიტყვის შესახებ კანონპროექტს სახელმწიფო სათათბიროში შემოდგომაზე შეიტანენ.

**სახელმწიფო სათათბიროს სურვილები.** სახელმწიფო სათათბირომ სხვა და სხვა დროს სურვილები გამოსთქვა, ამა და ამ უწყებაში ესა და ეს გაუმჯობესება შეიტანეთო. როგორც ეხლა გამოირკვა, უწყებებს ძალიან ნაკლები ყურადღება მიუქცევიათ სახელმწიფო სათათბიროს სურვილებისათვის.

**რიგის სატუსაღოში.** უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში რიგის სატუსაღოში მოდარაჯე სალდათებმა რამდენიმე ტუსაღი იმსხვერპლეს. საკმაოა ტუსაღმა ფანჯარაში თავი გამოჰყოს, რომ სალდათებმა წუთი-სოფელს გამოასალმონ. უბედურება ის არის, რომ სალდათებს ადმინისტრაციაც აქეზებს. ამ დღეებში მოდარაჯე სალდათმა მოუკლავს ტუსაღი-ქალი. მოთმინებ დაკარგულ ტუსაღებს ერთი ალიაქოთი აუტეხიათ და გუბერნატორი მოუთხოვნიათ. სატუსაღოში მალე გაჩენილა ვიცე-გუბერნატორი. ტუსაღებს ვიცე-გუბერნატორისათვის გადაუციათ ყველაფერი. ვიცე-გუბერნატორს არც უცივებია, არც უცხელებია და პირდაპირ უთქვამს: „ფანჯრებ ი თუ გადაიხედებით, მოურიდებლად გესვრიანო!

# უცხოეთი

**ეგვიპტელთა კრება პარიზში**

ეგვიპტელ პროგრესისტ მუსულმან მოღვაწეთა კრებამ პარიზში დაადგინა რეზოლიუცია, რომლითაც პროტესტი განაცხადა ინგლისის მთავრობის წინააღმდეგ და მოითხოვა ეგვიპტეს დამოუკიდებლობა და კონსტიტუციის დაუყოვნებლივ დაწესება.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! „დროების“ მე-149 ნომერში დაბეჭდილი იყო წერილი ბ-ნ დამსწრესი თელავის სასულიერო საოლქო დეპუტატთა კრების შესახებ. დამსწრე კრების მსვლელობის სურათს სრულებით ამახინჯებს. საჭიროა სიმართლე აღსდგეს და კრების ნამდვილი სურათი დაიხატოს მკითხველთა თვალწინ.

ავტორი სწერს: „თელავის სანთლის საწყობმა აურ-ზაური გამოიწვია“. „კენჭი უყარეს (საწყობის გამგის თანამდებობაზედ) ალადაშვილს და დეკანოზიშვილს. ლადაშვილს მეტი ხმა ამოუვიდა. ამაზედ შეხტა თავმჯდომარე და დაიწყო ერთი აურ-ზაური“... „კენჭის შედეგმა დიდი ალიაქოთი და აურ-ზაური გამოიწვია დეკანოზიშვილის მხრივ, და რომ ამან ვერ გასჭრა (?), საღამოთი ოფიციალურად ქაღალდი მისწერა სასწავლებლის გამგეს და კრება დახურა“. აქედან სჩანს, თითქოს ჩემთვის და ალადაშვილისთვის ჩემის თავმჯდომარეობით ეყაროთ კენჭი, ნამდვილად კი ესე არ იყო. იმის შემდეგ უფრო ვერ გაიგებს მკითხველი, ვინ თავმჯდომარემ „ასტეხა აურ-ზაური“, ვინ დაჰკეტა საღამოს კრება და მისწერა სასწავლებლის გამგეს წერილი? იფიქრებს ალბად ინაშვილმაო, მაგრამ შესცდება, ეს მე გახლდით. აი, ასე არეულ-დარეულია ერთმანეთში კრების სხვა და სხვა დროს მომხდარი საქმეები, და თვით-თავმჯდომარეები! კრების მსვლელობის ნამდვილი სურათი კი რომ გადმოეცა დამსწრეს, ასე დავთრებსაც არ დაუბნევდა მკითხველებს და სიმართლეც ცხადი შეიქმნებოდა. მართალს არ ამბობს დამსწრე, როდესაც სწერს, ვითომ აურ-ზაური ამეტეხოს სანთლის საწყობი გამგის არჩევნების დროს. არც ის არის მართალი, ვითომ ეს არჩევნები ჩემის თავმჯდომარეობით მომხდარიყოს. საწყობის გამგის არჩევნები მღვდლის ინაშვილის თავმჯდომარეობით მოხდა. რადგან მე ასარჩევ კანდიდატთა შორის ვიყავი, ჩემ თავს ხომ კენჭს მევე ვერ უყრიდი ანუ ამ დროს ხომ ვერ ვითავმჯდომარებდი? როდესაც მე არ ვიყავი თავმჯდომარე და არც მონაწილეობა რაიმე მიმიღია აქ საქმეში, როგორ და შემეძლო მომეხდინა აურ-ზაური და დავი-დარაბა? განა თავმჯდომარეს და კრებას არ შეეძლოთ დავეჩუმებინე და კრებიდანაც გავეძევებინე? მაგრამ ამ არჩევნების დროს არც ჩემის მხრივ და არც სხვისგან არაფერი აურ-ზაური და ჩხუბი არ მომხდარა. მართალია, თელავის მაზრის დეპუტატებმა პროტესტი განუცხადეს სიღნაღის მაზრის დეპუტატებს; „ნუ მიიღებთ მონაწილეობას სანთლის საწყობის გამგის არჩევნებში, როგორც ჩვენ არ ვიღებთ მონაწილეობას სიღნაღის საწყობის გამგისა და სარევიზიო კომიტეტის არჩევნებშიო“, მაგრამ, რადგან ამ უკანასკნელთ თავიანთი კანდიდატი ჰყავნდათ—ალადაშვილი და მისი გაყვანა ჰქონდათ განზრახული, არ დაიშალეს არჩევნებში მონაწილეობის მიღება, და კიდეც გაიყვანეს იგი, რადგან უმრავლესნი იყვნენ. მაგრამ ვიმეორებ, ამ დროს არავითარი უსიამოვნობა და აურ-ზაური არ მომხდარა. ეს არჩევნების დღის კრებაზე მოხდა და კრება პირველ საათზე დაიშალა სრულებით მშვიდად. თავმჯდომარემ ოქმი შეადგინა, მაგრამ ხელი მხოლოდ ოთხმა მოაწერა თერთმეტ დეპუტატიდან. კენჭის ყრის შემდეგ ბ-ნმა ალექსანდრე ბარნოვმა წარმოუდგინა კრებას „დებულება პროვინციის საწყობების შესახებ“, სადაც მეოთხე პარაგრაფში ეწერა, რომ საწყობის გამგეს ირჩევს ის სამღვდელოება, რომელიც სარგებლობს მისგან სანთლითაო“. და რადგან სიღნაღელ სამღვდელოებას თავისი სანთლის საწყობი აქვს, ამიტომ ყველასათვის ეხლა უფრო ცხადი შექნა სიღნაღელ დეპუტატების მხრივ მონაწილეობის მიღების უკანონობა. აი, რატომ აღარ მოაწერეს არჩევნების ოქმს ხელი თავმჯდომარემ და სხვა დეპუტატებმა და რისთვის გააბათილეს იგი. ის აურ-ზაური, რომელზედაც დამსწრე სწერს, საღამოს კრებაზე მოხდა, რომელიც ჩემის თავმჯდომარეობით გაიხსნა, რადგან გამგის არჩევნები უკვე გათავებული იყო. საღამოს კრება უნდა გახსნილიყო ხუთ საათზე, მაგრამ ზოგიერთ დეპუტატის მოლოდინში შვიდ საათზე და გაიხსნა, ისიც უიმათოდ. კრებამ თითქმის ერთი საათი იმუშავა ხარჯთ-აღრიცხვის გამონაგარიშება-განაწილებაზე, რომ მაშინ-ღა შემოვიდნენ ნინიკაშვილი, ალადაშვილი და ცინცაძე. შემოსვლისათანავე ნინიკაშვილმა მომთხოვა, განსახილველ საგნისთვის თავი დამენებებინა და ისევ ალადაშვილის არჩევნების საქმეს დავბრუნებოდით, ესე იგი მის არჩევნის ოქმზე ხელი მოვეწერა და სხვებისთვისაც მომეწერინებინა. მე და სხვა დეპუტატებმაც განუცხადეთ, რომ ეგ საკითხი დღეს უკვე დათავდა, ოქმი დაიწერა და ვისაც სურდა, ხელიც მოაწერა, ხოლო ვინც არ მოაწერა, ძალით ვერ მოვაწერინებთო. აი აქედან დაიწყო აურ-ზაური. მე მათ ნებას არ ვაძლევდი განსახილველ საგნის გარეშე ელაპარაკათ, და ისინი ჩემს საქციელს უკანონობას უწოდებდნენ და თხოულობდნენ ჩემს გამოცვლას და ახალ თავმჯდომარის არჩევას. მეც და დანარჩენებიც ამათ ვარწმუნებდით მათ, რომ ჩვენს საქციელში არავითარი უკანონობა არ არის, და თუ არის, განასაჩივრონ და ის ოქმიც, სადაც უნდათ, გაუგზავნონ; ისინი უფრო ცხარდებოდნენ, ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ ნინიკაშვილმა მოინდომა პოლიციის შემწეობით ჩემი გამოცვლა და სხვის არჩევა. რომ კრებაზე ასეთი სამარცხვინო საქმე არ მომხდარიყო, მე თვით დაუთმე მათ თავმჯდომარის ადგილი და ვთხოვე, ვინც სურდათ, აერჩიათ. ნინიკაშვილმა დაასახელა ცინცაძე და იმანაც უმალ დაიჭირა თავმჯდომარის ადგილი და შეუდგა წყლის აღმართზე აყვანას, ესე იგი იმის დამტკიცებას, რომ მე უსამართლოდ ვიქცეოდი. ცინცაძემ დიდ ხანს ილაპარაკა, მაგრამ ვერავინ დააჯერა ჩემს უკანონო საქციელში და [illegible] ბული შექმნა, [illegible] თავმჯდომარის ადგილი. იმის შემდეგ თავმჯდომარეს [illegible] ნინიკაშვილი [illegible], თუმცა ჩემი არაფერი არ [illegible]. იმანაც ბევრი ილაპარაკა და მთელი თავისი მჭევრ-მეტყველება წარმოაცალიერა. მაგრამ იგიც ამაოთ დაშვრა!! ვერც მან მიიმხრო უმრავლესობა და ბოლოს ჩამოვიდა თავმჯდომარეობის ადგილიდან. მაშინ უმრავლესობამ ისევ მე მთხოვა დამეჭირა ჩემი ადგილი და განმეგრძო საქმე. მე გამოუცხადე, რომ საგნის გარეშე ნებას არავის მივცემ ლაპარაკისას მეთქი. მაშინ ნინიკაშვილი და მისთანები დემონსტრატიულად გამოვიდნენ კრებიდან და მიმართეს პირად საჩივრით სასწავლებლის გამგეობას. ამასობაში უკვე ათი საათი შესრულდა, მე კრება დავხურე და სასწავლებლის გამგეობას განუცხადე, რაც ამ საღამოს მოხდა და საქმეებიც გადავეც, რადგან შესაძლებელი იყო მეორე დღემდის უმრავლესობა მათკენ გადასულიყო და ახალი თავმჯდომარე აერჩიათ.

მეორე დღეს რომ მიველ კრებაზე, ვცან, რომ უმრავლესობა ისევ ჩემკენ იყო, ამიტომ მოვითხოვე საქმეები და გავხსენ კრება. მაგრამ ნინიკაშვილმა და მისთანებმა ძველებურად დაიწყეს საქმე და მოითხოვეს ჩემი გადაყენება ან ოქმზე ხელის მოწერა მაგრამ მათ ამ დღესაც ვერაფერი გააწყეს და კვლავ გავიდნენ კრებიდან. ახლა კი კრება მოთმინებიდან გამოვიდა, შეადგინა მათ საქციელზე ოქმი, მოაწერა ხელი და გადასწყვიტა ჟურნალში ჩაეწერებინა, თუ არ მიიღებდნენ მონაწილეობას საქმეების დათავებამდის. კრებამ უმათოდ განაგრძო საქმეები, ესე იგი ხარჯთ-აღრიცხვის განაწილება კრებულებზე და ეკლესიებზე. თორმეტი საათი სრულდებოდა, როდესაც წასული დეპუტატები თვითოობით შემოვიდნენ და ნელ ნელა იწყეს საქმეში მონაწილეობის მიღება. ბოლოს ჟურნალზედაც ხელი მოაწერეს და დასთანხმდნენ ოქმის გაბათილებას.

რაც შეეხება სამედიატორო სამართალს, ვეჭვობ რომ მით ან ნინიკაშვილი და მისიანები დაკმაყოფილებულიყვნენ, რადგან ამ სამართალს აკლდა სწორედ ის, ურომლისოდაც არც ერთი სამართალი არ სამართლობს. ესე იგი მოწმების გამოკითხვა. ჩვენმა მოსამართლეებმა კი არ ჰკითხეს არც ერთს ჩვენ მიერ დასახელებულ მოწმეს. მათი განზრახვა უფრო მშვიდობის მოყვარული იყო, ვიდრე „მტყუანის მიყოლა სიმტყუნის კარამდე“, ამიტომაც მათ მოგვთხოვეს შერიგება და ამ საქმის გარეთ არ გატანა. მაგრამ რადგან ეს საქმე საგაზეთოდ გახდა, დეე მკითხველმა დასდოს მსაჯავრი ჩვენგანი ვინ მართალია და ვინ მტყუანი.

**მღ. დეკანოზიშვილი.**

ავტონომისტებთან. ეს იქნება დიდი ეროვნული საქმე, რომლის მზადება და მოლოდინში უნდა ვიყვნეთ დღეიდან!..

დღეს ყველა ლაპარაკობს რევოლიუციის დამარცხებასა და იმედების გაცრუებაზე. მართლაც დამარცხდა რევოლიუცია. მაგრამ მან ზოგი რამ კარგი შეგვძინა. **რევოლიუციის ლიკვიდაციის შემდეგ ხანიდან იწყება ქართველ საზოგადოების გამორთელების საქმე.** რევოლიუციის დროს დაქსაქსულნი ვიყავით. ქართველი საზოგადოება ღრმა სენით იყო დაავადებული. როდესაც საზოგადოებაში გამოურკვეველია ის აზრი, უნდა თუ არა ხალხს პოლიტიკური თვით-მოქმედება, ამ საზოგადოების მომავალი განსაცდელშია. რუსეთშიაც იყო პარტიათა შორის ღრმა და სასტიკი განხეთქილება. მაგრამ პროგრესიულ რუსეთისთვის არ არსებობდა საკითხი, საჭიროა თუ არა **რუსეთისთვის** პოლიტიკური მართვა-გამგეობა. კამათი და ბრძოლა იყო მარტო მართვა-გამგეობის სხვა და სხვა ფორმების უპირატესობის და საჭიროების შესახებ. რუსეთი რევოლიუციის დროს **ერთ ეროვნულ სხეულს წარმოადგენდა** მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ ხანაში იჩინა თავი ამ სხეულის შინაგან ცხოვრებაში ღრმა კლასიურმა და სოციალურმა განხეთქილებამ. ჩვენი საზოგადოება სულ სხვას წარმოადგენდა ხსენებულ ხანაში. მისი ნაწილები დარღვეული იყო არა მარტო სოციალურად (რაიც საშიშ მოვლენად არ მიგვაჩნია), არამედ ეროვნულადაც. ქართველი საზოგადოება, ქართველი ხალხი, როგორც განსაზღვრულ პიროვნების მქონე ერი, თითქმის არ არსებობდა. ერს ეროვნული თავისუფლება არა სწყუროდა. იგი „ოკრაინაში“ არსებულ რუსეთის დამფუძნებელ კრების ზედნადებად გადაიქცა. საკუთარ პიროვნების, საკუთარ ინდივიდუალობის, საკუთარ მართვა-გამგეობის დაწესების ზრუნვა მას არ ეკარებოდა. სოციალურ ბრძოლას, რომელიც იშლებოდა ჩვენს წინ, თითქმის სუბსტრატი ეკარგებოდა... რევოლიუციის შემდეგ სურათი ცოტათი მაინც იცვლება. ეხლა მოხდა ახალი შეფასება ეროვნულ პრობლემისა სოციალ-დემოკრატიულ წრეებში. და ნაყოფი ამ შეფასებისა, მიუხედავად მის საბოლოო გამოურკვევლობისა, როგორც ვნახეთ, ჯერ-ხნობით მაინც იმ ხასიათისაა, რომ იმედს არ გვიკარგავს ქართველ საზოგადოების გამომთელებისა და მის ნაწილების შედუღების ჟამის მოახლოვების შესახებ.

**არჩილ ჯორჯაძე.**


# განცხადებანი

ახლად გაიხსნა საწყობი

## „გურია“

გურულ საწარმოებისა. იყიდება: ღომი, ფქვილი (სიმინდისა), ყველი-სულგუნი (გადაზელილი), თხილი და სხვა. ადრესი: სალდათის ბაზარი, ყოფილ სემინარიის გვერდით, № 6. (4—434—2)

კანტორა რკინის გზებთან დავების გასარჩევად

## მ. ე. ხარიტონენკოსი

კიევის განყოფილება

ქ. ტფილისი, ბელინსკის ქ., N 19.

გარჩევა და გამოტანა რკინის გზის ხამართველოდან ფულისა კაცის დამავებისათვის და საქონლის დაკარგა-წახდენისათვის ან ვალის გაცდენისათვის და სხვა. ცნობების შეკრება, რჩევა-დარიგება, საქმ ს ქაღალდების შედგენა და სხვა. (1—1016—1)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ნახ. ს. აკნისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. ი. კარაპეტიანცი: 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

ა. მ. ტურბოვიჩი: 1—2 ნახ. საათამ. აბებიო და ქალებისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. დ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი (ზ.—1—165)

ტ. მ. ფილოიანის

## საკომერციო ცოდნის კურსებზე

(მიხეილის პროსპ. N 24/4).

ასწავლიან **ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ** ენებს. თავისუფლად კითხვას, წერას და ლაპარაკს კაცი რვა თვეში შეისწავლის თეორეთიულ და პრაქტიკულ მეცადინეობით. მოეწყობა ჯგუფები ლათინურ ენის შესასწავლად სიმწიფის ატესტატების მისაღებად. მიღება 10—12 ს. და 4—7 ს.

კურსების დამაარსებელი საკომერც. მეცნიერებათა კანდიდატი **ტ. ფილოიანი.** (20—ხალ.—10)